

ადამიანის უფლებათა დაცვის ეპროკული სასამართლო

მესამე სექცია

საქმე ბაკერო ერნანდესი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ

(სარჩევლი №1883/03, 2723/03 და 4058/03)

განაჩენი

სტრასბურგი

2010 წლის 2 ნოემბერი

საბოლოო

11/04/2011

გადაწყვეტილება ხასიათობა კონკრეტულ 44-ე მუხლის, §2 გ) პუნქტის შესაბამისად და შეიძლება დაუჭირდებაროს მხრივ რედაქციულ შესწორებას

საქმე ბაკერო ერნანდესი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ განიხილა ადამიანის უფლებათა დაცვის ეკროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია), რომელიც შეიკრიბა ერთ პალატად და შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან :

ჯოზევ კასადევალი, თავმჯდომარე,

ელიზაბეტ ფურა,

ბოშტან მ. ზუპანჩიჩი,

ალვინა გიულუმიანი,

ეგბერტ მიუერი,

ლუის ლოპეს გერა,

ანა პოუერი,

და სანტიაგო კესადა, სასამართლო მდივანი,

2010 წლის 12 ოქტობერს სათათბირო პალატამ, განიხილა და ამ დღისათვის დაადგინა შემდეგი :

პროცედურა

1. საქმეს საფუძლად უდევს ესპანეთის სამეფოს წინააღმდეგ მიმართული სამი სარჩელი, რომლის ხუთმა მოქალაქემ (« მოსარჩელები »), ბატონებმა ანხელ ბაკერო ერნანდესმა, ენრიკე დორადო ბილალობოსმა და ფელიპე ბაიო ლეალმა (სარჩელი №1883/03), ენრიკე როდრიგეს გალინდომ (სარჩელი № 2723/03) და ხოსე ხულიან ელგორიაგა გოიენეშმა (სარჩელი № 4058/03), მიმართეს სასამართლოს, შესაბამისად 2003 წლის 14 და 22 იანვარს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (« კონვენცია ») 34-ე მუხლის საფუძველზე.
2. პირველ სამი მოსარჩელეს (სარჩელი №1883/03) წარმოადგენს ადვოკატი არგოტე ალარკონი მადრიდიდან. მეოთხე მოსარჩელს წარმოადგენს ადვოკატი ფუსტერ-ფაბრა ტორელასი ბარსელონადან. მეხუთე მოსარჩელეს (სარჩელი № 4058/03) ინტერესებს კი იცავს ფ.-ხ. ლოზანო მონტალბო, ადვოკატი მადრიდიდან. ესპანეთის მთავრობას (« მთავრობა ») კი წარმოადგენს ბატონი ი. ბლასკო ლოზანო, იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის იურიდიული სამსახურის უფროსი.
3. მოსარჩელები თვლიან რომ არიან, მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე სამართლიანი პროცესის უფლების დარღვევის მსხვერპლი, ხელყოფილ იქნა უდანაშაულობის პრეზუმუცია და დაცვის უფლება.
4. 2007 წლის 2 მაისს, მეხუთე სექციამ გადაწყვიტა მათი სარჩელების გაერთიანება (რეგლამენტის 42-ე მუხლი, §1) და მთავრობას გადასცა ბრალდების მუხლები რომლებიც ეხებოდა სასამართლო პროცედურის

- მიკერძოებულობას, უდანაშაულობის პრეზუმფციას და დაცვის უფლებებს და უარი განაცხადა ბრალდების დანარჩენი მუხლების წარმოებაში მიღებაზე.
5. 2008 წლის 1 თებერვალს, ევროსასამართლომ შეცვალა თავისი სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25-ე მუხლი). ამაგვარად, წინამდებარე სარჩელი გადაეცა განახლებულ მესამე სექციას (52-ე მუხლი, §1).
 6. 2008 წლის 9 დეკემბერს, საქმის წარმოებაში მიღებაზე საბოლოო გადაწყვეტილებით, მესამე სექციამ არ მიიღო წარმოებაში მოსარჩელეთა ბრალდების ის მუხლები რომლებიც ეხებოდა შიდა იურისდიქციების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის არარსებობას. დანარჩენ ბრალდების მუხლებთან დაკავშირებით კი საქმე მიღებულ იქნა წარმოებაში.
 7. როგორც მოსარჩელეებმა, ისე მთავრობამ წარადგინეს დამატებითი წერილობითი მოსაზრებები და შენიშვნები (რეგლამენტის 59-ე მუხლი, §1).

საქმის ვაჭრობრივი მხარე

I მოცემული საქმის გარემოებანი

8. ბატონები ანხელ ბაკერო ერნანდესი, ქნიკე დორადო ბილალობოსი და ფელიპე ბაიო ლეალი (სარჩელი №1883/03), შემდგომში მოხსენიებული როგორც პირველი, მეორე და მესამე მოსარჩელეები, არიან ესპანეთის მოქალაქეები და შესაბამისად დაიბადნენ 1951, 1957 და 1960 წელს. ფაქტების მიმდინარეობის დროს ისინი იყვნენ სამოქალაქო გვარდიის უფროსი-ლეიტენანტი, სერუანტი და კაპრალი. მესამე მოსარჩელე პენსიაში გავიდა ვადამდე, 1987 წელს, ქმედუნარობის გამო.
9. მეოთხე მოსარჩელე, ბ-ნი ენრიკე როდრიგეს გალინდო (სარჩელი № 2723/03), დაიბადა 1939 წელს. ფაქტების მოხდების დროს, იგი იყო სამოქალაქო გვარდიის გენერალი.
10. მეხუთე მოსარჩელე, ბ-ნი ხოსე ხულიან ელგორიაგა გოიენეში (სარჩელი № 4058/03) დაიბადა 1948 წელს. 1982-1987 წლებში იყო გიპუსკოას სამოქალაქო გუბერნატორი და 1987-1989 წლებში კი, ბასკეთის რეგიონის ავტონომიურ კომიტეტი მთავრობის წარმომადგენელი.

ა. საქმის ისტორია

11. 1985 წლის 20 იანვარს, ბუსოში (ალიკანტე), ნაპოვნი იქნა ორი გვამი, რომლებიც გადაეცა ალიკანტეს მუნიციპალურ სასაფლაოს.
12. 10 წლის შემდეგ, 1995 წლის 15 მარტს, თავისუფლების ანგიტერორისტულ ორგანიზაციაზე (შემდგომში მოიხსენიება როგორც «თაო») პრესაში გამოჩენილი ინფორმაციის შედეგად, სასამართლო პოლიციამ სასწრაფოდ ჩაატარა გამოძიება, რის შემდეგ მოხდა ამ ორი გვამის იდენტიფიკაცია ; დადგინდა რომ ესენი იყვნენ 1983 წლის ოქტომბერში დაღუპულები ხ.ა.ლ. და ხ.ი.ს., რომლებიც ითვლებოდნენ ETA-ს (ბასკების ტერორისტული ორგანიზაცია) წევრებად.

ბ. მოსარჩელების წინააღმდეგ გამოძიების წარმოება და მათი სასამართლოში წარდგენა.

13. 1995 წელს, Audiencia Nacional¹- ის მოსამართლემ აღმრა სისხლის სამართლის საქმე (დოსიგ №15/1995) ხუთი მოსარჩელეს და ადვოკატ ბ. არგოტე ალარკონის (შემდგომში მოხსენიებული როგორც « ადვ. ა.ა. ») რომელიც წარმოადგენდა პირველ სამ მოსარჩელეს. (და რომელიც მათ წარმოადგენს ევროსასამართლოს წინაშე წინამდებარე საქმეში) და ბ-ნ ბერას (იხ.Vera Fernandez-Huidobro c. Espagne, №74181/01, 2010 წლის 6 იანვარი) წინააღმდეგ, მკვლელობისა და პირთა უკანონო პატიმრობაში აყვანისათვის,, შეიარაღებული ბანდ-ფორმირების წევრობის, ძალადობის, დაჭრისა და წამებისათვის.

14. 1995 წლის 7 სექტემბერს, მეხუთე მოსარჩელე ბ-ნი ელგორიაგა, ადვოკატის გარეშე, ნებაყოფლობით გამოცხადდა გამომძიებლის წინაშე. როგორც მოწმემ, მისცა ჩვენება და განაცხადა რომ თავად და პირველი ოთხი მოსარჩელე უდანაშაულოები იყვნენ.

15. 1995 წლის 18 დეკემბერს, მესამე მოსარჩელემ, როგორც ბრალდებულმა, ხელახლი განცხადება გააკეთა და გაიმორა რომ უდანაშაულო იყო სხვა მოსარჩელების მსგავსად.

16. 1996 წლის 25 აპრილს, მოსამართლემ პროკურატურისგან და სხვა ბრალდებული მხარეებისგან მიიღო მრავალი მტკიცებულება, კერძოდ კი მოწმეთა ჩვენებები, დაპირისპირების შედეგად მიღებული ჩვენებები და სხვა დოკუმენტები.

17. 1996 წლის 9 მაისს, მეხუთე მოსარჩელე დასახელდა ბრალდებულად მოწმე ლ.ს.-თან დაპირისპირების შედეგად.

18. 1996 წლის 20 მაისს, მიღებულ იქნა ახალი მტკიცებულებები. იმავე დღეს მიღებული გადაწყვეტილებით, Audiencia Nacional-ის მოსამართლემ ოფიციალურად წაუყენა ბრალი და დროებით პატიმრობაში აიყვანა მეორე და მესამე მოსარჩელეები უკანონო დაპატიმრებზე, წამებისა და მკვლელობისათვის. ბრალის წაყენებისას, მოსამართლემ მხედველობაში მიიღო სხვადასხვა მოწმეთა პირდაპირი ჩვენებები, ზოგიერთი მოწმის მიერ მოსმენილი საუბარი მოსარჩელეებს შორის, კერძოდ კი № 2345 დაცული მოწმეს და ლ.ს. ჩვენებები. მესამე მოსარჩელემ, კანონიერ წარმომადგენლად აირჩია ადვოკატი, რომელიც მას ევროსასამართლოს წინაშე წარმოადგენს.

19. 1996 წლის 27 მაისს, პროკურორის თხოვნით, მოსამართლემ ბრალი წაუყენა ადვოკატ ა.ა.-ს მისი კლიენტებისათვის წაყენებული დანაშაულებების დაფარვისათვის. იმავე დღეს, მეოთხე მოსარჩელეს, ბ-ნ როდრიგო გალინდოს ბრალი წაუყენა უკანონო დაპატიმრებაზე, წამებისა და მკვლელობისათვის.

¹ ესპანეთის სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1976 წელს და მისი კომპეტენცია ვრცელდება ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე. იგი განიხილავს ეროვნული და საერთაშორისო თვალსაზრისით მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს (მაგ. ტერორზმი, ორგანიზებული დანაშაული . .). მისი გადაწყვეტილებების გაუქმება შეუძლია ესპანეთის უზენაეს სასამართლოს.

20. 1996 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, მოსამართლემ, იარაღს უკანონო ტარებისა, წამებისა და მკვლელობისათვის, ბრალი წაუყენა მეხუთე მოსარჩელეს და ბ-ნ ბერას, დანაშაულობების დაფარვისათვის, რომელიც იმხანად შინაგან საქმეთა სამინისტროში უშიშროების სახელმწიფო მდივანი იყო. მოსამართლის გადაწყვეტილება დეტალურად მოიცავდა ქვემოთ მოყვანილ ფაქტებს : 1983 წლის 16 ოქტომბერს, მეორე და მესამე მოსარჩელეებმა, სამოქალაქო გვარდიის აგენტებმა დაბავეს ხ.ა.ლ. და ხ.ი.ზ. საფრანგეთის სამხრეთში და ძალით წაიყვანეს ესპანეთში. ისინი ამის თაობაზე ატყობინებენ მეოთხე მოსარჩელეს, რომელმაც ბრძანა პარიმრების გადაყვანა ლა კუმბრეს (La Cumbre) სასახლეში სან-ხებასტიანოში, სადაც მოხდა მათი მკაცრად დაკითხვა, მათ სცემდნენ და აწამებდნენ რამდენიმე დღის განმავლობაში ინფორმაციის მოსაპოვებლად ETA-ს ტერორისტული ორგანიზაციის წევრებსა და დაახლოებულ პირებზე და ასევე მათ დასასჯელად, ამ ორგანიზაციის მიერ ჩადენილი ძალადობრივი აქტების გამო სამოქალაქო გვარდიის წევრებისა და სახელმწიფო უშიშროების სხვა ორგანოებისა და ძალების მიმართ. როცა ნახეს წამებისაგან რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დაკავებულები, მეოთხე მოსარჩელემ, სამოქალაქო გვარდის გენერალმა, ბრძანა მათი ალიკანტეში გადაყვანა და მოკვლა. ეს გადაწყვეტილება შეიტყო მეხუთე მოსარჩელემ, გუიპუსკოას სამოქალაქო გუბერნატორმა, რომელსაც არაფერი უდონია ამ გეგმების შესაჩერებლად. დაუდგენელ დღეს, მეორე და მესამე მოსარჩელემ სხვა პირის დახმარებით, დაპავებულები წაიყვანეს ბუსო-ში (ალიკანტე), გააშიშვლეს და დააწვინეს მიწაზე საგარაუდოდ წინასწარ ი ორმოს წინ ; შემდეგ, მეორე მოსარჩელემ მათ თავში სამი ტყვია დაახალია. მას შემდეგ რაც სხეულები თხრილში ჩაყარეს, მეორე და მესამე მოსარჩელემ დააყარეს 50 კგ-მდე კირი მათი გვამების გასაქრობად. მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეებს ეს ამბავი დაუყოვნებლივ ეუწყათ, და მკვლელობებზე პასუხისმგებლობა აიღო თაო-მ ალიკანტეს რადიოში შესული სატელეფონო ზარის მეშვეობით, 1984 წლის 21 იანვარს. ერთი წლის შემდეგ, სხეულის ნარჩენები აღმოჩნილ იქნა დანაშაულის ჩადენის ადგილას და მათი იდენტიფიკაცია მოხდა მხოლოდ 1995 წელს.

21. 1996 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, მოსამართლემ გადაწყვიტა შეეხდული საპატიმროში მყოფი მეორე და მესამე მოსარჩელეებთან ვიზიტები.

22. 1996 წლის 24 ივნისის არამოტივირებული გადაწყვეტილებით, მოსამართლემ ნაწილობრივ მიიღო მოსარჩელეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მოითხოვა რომ დაცვის მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, მისთვის წინასწარ გადაეცათ დასასმელი კითხვების წუხა.

23. მესამე მოსარჩელეს აწუხებდა ფსიქიკური პრობლემები, რაც გამოიხატებოდა თავის მოკვლის არაერთგზის მცდელობით (იგი შეეცადა თავის მოკვლას და მუცელში დაიხალა ტყვია), №1 მთავარმა საგამოძიებო მოსამართლემ, მესამე მოსარჩელეს, მისივე თხოვნით, 1997 წლის 8 აგვისტოს, ნება დაერთო ჩვენება დახურულ კარს მიღმა მიეცა. ეს ზომა ერთ თვეში გაუქმდებულ იქნა.

24. 1997 წლის 12 აგვისტოს, მესამე მოსარჩელემ, რომელსაც ადვოკატი ა.ლ.მ. იცავდა, მისცა ნებაყოფლობითი ჩვენება. მან განაცხადა რომ აქამდე გაჩუმება არჩია გენერალ როდრიგე გალინდოსადმი (მეოთხე მოსარჩელე) ლოიალურობის გამო და ასევე იმ პირების გამო რომლებსაც მეგობრებად მიიჩნევდა ; ასევე არ სურდა ჩვენება მიეცა იერარქიულად ზემდგომი პირების წინააღმდეგ. მან მიუთითა რომ

პირველი, მეოთხე და მეხუთე მოსარჩელები იმყოფებოდნენ ლა კუმბრეს (La Cumbre) სასახლეში და რომ გენერალი როდრიგეს გალინდო იქ ინსტრუქციებს იძლეოდა. იგი ირწმუნებოდა რომ თვითონ და მეორე მოსარჩელე ამ საქმეში განტევების ვაცები იყვნენ და რომ მეოთხე მოსარჩელე, ცხადია, იცავდა (ხელს აფარებდა) შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალ თანამდებობაზე მყოფ ერთ პიროვნებას.

25. 1997 წლის 19 აგვისტოს, მესამე მოსარჩელემ, რომელსაც ახლდა თავისი ადვოკატი ა.ლ.მ., ისევ დახურულ კარს მიღმა, მოსამართლეს წარუდგინა ზოგიერთ მოსარჩელებს შორის შემდგარი საუბრების ხმოვანი ჩანაწერი, კერძოდ კი საუბარია მასზე და ბ-ნ დორადო-ზე, რომლებიც იმყოფებოდნენ საპატიმროში და ხ.ტ.-სა და პირველი მოსარჩელე, ბ-ნი ბაკეროზე, რომლებმაც ისინი მოინახულებს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მესამე მოსარჩელემ უპასუხა ამ ჩანაწერზე დასმულ კითხვებს. ამ ჩვენების დროს, მან დააზუსტა რომ მეხუთე მოსარჩელე ლა კუმბრეს სასახლეში იმყოფებოდა, როდესაც მან და მისმა კოლეგებმა მიიღეს ბრძანება პირველი მოსარჩელესგან რომ დაეწყოთ ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს-ს დაკითხვები. ეს უკანასკნელი მაშინ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ და ემინათ ერთ ქვეშაგებზე, საბინის ქვეშ. მოსარჩელებს არანაირი ნარკოტიკი აღარ მიუციათ დაკავებულებისთვის ზედიზედ სამი დღის განმავლობაში, ყველას ერთნაირი სადილი ჰქონდა მიღებული, რომლებიც მომზადებული იყო ახალ სამზარეულოში და უფრო თანამედროვედ იყო აღჭურვილი, კიდრე პირველი სართულის სამზარეულო. მესამე მოსარჩელემ აღნიშნა რომ მისი ვარაუდით ლა კუმბრეს სასახლეში ტელეფონი იყო, მაგრამ მისთვის და მისი კოლეგებისთვის არავის დაურეკია, ყველა სახის კომუნიკაცია ხორციელდებოდა პირველი მოსარჩელეს შუამავლობით. მან ასევე აღნიშნა რომ დაკითხეს დაკავებულები და თან დააზუსტა დაკითხვის საათები და სასახლის ის ოთახები, სადაც ფაქტებს ჰქონდა ადგილი. მან აგრეთვე დასძინა, რომ მეოთხე მოსარჩელე პირველ დამეს ადგილზე იმყოფებოდა. ბოლოს კი განაცხადა რომ ადვოკატმა ა.ა.-მ მეორე მოსარჩელეს უთხრა [შაბათ დღეს], რომ სანერვიულო არაფერი იყო, რადგან მესამე მოსარჩელეს შეიძლებოდა ხელახლა გაემეორებინა თავისი განცხადებები (ბრალმდებელი) საქმის მოსმენის დღეს.

26. მესამე მოსარჩელე კიდევ იქნა მოსმენილი 1997 წლის 21 და 26 აგვისტოს., ადვოკატის (და ეს იყო ადვოკატი ა.ლ.მ. და არა ადვოკატი ა.ა.) და პროკურატურის წარმომადგენლის თანდასწრებით. მან განახვადა რომ მეოთხე მოსარჩელეს მოსთხოვა დაეფარა იგი და მეორე მოსარჩელე და ემხილა ნამდვილი პასუხიმგებლები, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე იმყოფებოდნენ და რომლებმაც გასცეს ინსტრუქციები. მაშინ, მეოთხე მოსარჩელე თითქოსდა დაპირებია შეწყალებასა და ფულს რომ ოჯახებთან ერთად საზღვარგარეთ წასულიყვნენ საცხოვრებლად. მთავრობის წევრებსაც დაურწმუნებიათ რომ შეეძლოთ ჰქონოდათ შეწყალების იმედი. მესამე მოსარჩელემ მიუთითა რომ ხედავდა ინტერესთა კონფლიქტს, ერთის მხრივ მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეს დაცვასა და ბ-ნ ბერას შორის, მეორეს მხრივ კი მეორე მოსარჩელეს დაცვასა და მის დაცვას შორის. მან განმარტა რომ მეორე მოსარჩელეს ეშინოდა ჩვენება მიეცა იერარქიულად ზემდგომი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ასევე აღნიშნა რომ იმყოფებოდა ზეწყლის ქვეშ და დაამატა რომ ციხეში, მისი ფიზიკური მდგომარეობა ყოველ საათს კონტროლდებოდა და მეოთხე მოსარჩელეს გარდა არ დაკონტაქტებია არცერთ მაღალჩინოსანს ; ასე რომ, სანამ თვითონ და მეორე მოსარჩელე არ ალაპარკდებოდნენ, « პოლიტიკოსებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდათ ». მან დაადასტურა რომ მეხუთე მოსარჩელემ,

სამოქალაქო გუბერნატორმა, ბ-ნმა ელგორიაგამ მეოთხე მოსარჩევეს, გენერალ როდრიგეს გალინდოს, უბრძანა თავის თვიზე აედო წინამოსამზადებელი ოპერაციები, რათა ვინმე გარეშე პირს ჩაედინა ტერორისტული აქტები ორი ბასკური გაზეთის წინააღმდეგ, რასაც ადგილი არ ჰქონია და ასევე, მეხუთე მოსარჩევეს დაავალა მეგობარი სენატორის მკვლელის თვალთვალი. მან ასევე აღნიშნა რომ მეოთხე მოსარჩევემ, რომელმაც, გამონაკლისის სახით, განუმარტა ხ.ა.ლ.-სა და ხ.ი.ს.-ს დაკითხვის მიზნები, კერძოდ კი იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა კომანდოსების აყვანა ; ასევე მიუთითა რომ ორივე პატიმარს კორექტულად ეპყრობოდნენ ყოველგვარი ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის გარეშე.

27. მხარეებზე წარმოებულ გამოძიებას გრიფით საიდუმლო მოიხსნა 1997 წლის 9 სექტემბერს.

28. მესამე მოსარჩევეს, რომელმაც ახალი ჩვენება მისცა 1997 წლის 18 სექტემბერს, შესთავაზეს დაპირისპირება პირველ მოსარჩევესთან, უფროს ლეიტენანტ ბაქეროსთან, რაზეც უარი განაცხადა. მესამე მოსარჩევემ თავისი ჩვენება არ შეცვალა, რომლის მიხედვითაც საქმეში გარეული იყო ყველა მოსარჩევე. პირველმა მოსარჩევემ განაცხადა რომ არ სურდა დაპირისპირებინათ სამოქალაქო გარდის არცერთ წარმომადგენელთან.

29. 1997 წლის 24 ოქტომბერს, მესამე, მესამე მოსარჩევემ ისევ დაადასტურა 1997 წლის აგვისტოში გაკეთებული განცხადებები. ამ დღეს, განხორციელდა დაპირისპირება კომენდანტ ა.-სთან, რომელმაც უარი განაცხადა თავის კოლეგასთან დაპირისპირებაზე. მესამე მოსარჩევე, 1997 წლის განცხადებაში, დაუინგბით აღნიშნავდა, მხარეთა აღვოკატების თანდასწრებით, რომ ა. ასევე იმყოფებოდა ლა კუმბრე-ს სასახლეში, საიდანაც გამოიტანა ანგარიშ-მოხეცებების ნაწილი.

30. 1997 წლის 29 ოქტომბერს, გათვალისწინებული იყო ახალი დაპირისპირება მესამე მოსარჩევესა და აღვოკატ ა.ა.-ს შორის, მხარეთა აღვოკატებისა და პროკურატურის თანდასწრებით. აღვოკატმა ა.ა.-მ უარი განახადა მოსარჩევესთან დაპირისპირებაზე იმ მოტივით რომ მისი კლიენტი იყო. თავის მხრივ, მესამე მოსარჩევემ განაცხადა, რომ დაპირისპირებაზე უარის ვერანაირ მიზეზს ვერ ხედავდა და დაადასტურა რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიიღო ფული, კერძოდ კი სახელმწიფო მდივნისგან, ბ-ნ ბერასაგან, რათა პილოტაჟის კურსი გაევლო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ფული ასევე მიიღო აღვოკატ ა.ა.-საგან კერძო კლინიკის ხარჯების დასაფარად, სადაც მკურნალობას გადიოდა.

31. 1997 წლის 31 ოქტომბერს შემოწმდა ლა კუმბრე-ს სასახლე მხარეთა აღვოკატებისა და მესამე მოსარჩევეს თანდასწრებით, რომელმაც ამასთან დაკავშირებით, ყველა სახის განმარტება მისცა და დაადასტურა მსხვერპლთა დაკავება და დაკითხვები, ისევე როგორც სხვა მოსარჩევეების ყოვნა შენობაში. შემდეგ, იმავე პირების თანდასწრებით, მოწმე ლ.ს-მ ხელმეორედ მოატარა ადგილები, სადაც ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

32. 1997 წლის 5 ნოემბერს, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩევთა მიერ წარდგენილი სისხლის სამართლის საჩივარი მოსამართლის წინააღმდეგ იმ მოტივით რომ საჩივარი რეალურად შეთხული იყო ერთერთი

სახალხო ბრალმდებელის თაღლითური მოქმედებებით და მიმართული იყო მოსამართლის ჩამოსაშორებლად მოცემული საქმიდან.

33. 1997 წლის 18 ნოემბერს, ერთეულთი ახალი დაპირისპირების დროს დამნაშავე პ.ს.-სთან, მესამე მოსარჩელემ დაადასტურა 1997 წლის აგვისტოს მიცემული ჩვენებები. ს.-მ., თავის მხრივ განაცხადა, რომ არ სურდა კოლეგასთან დაპირისპირება. მხარეთა ადვოკატები ამ ფაქტს ესწრებოდნენ. ასევე შეთავაზებულ იქნა დაპირისპირებები სხვა მოწმეებთან.

34. მოსამართლემ მოისმინა მრავალი მოწმის განცხადება. კერძოდ, 1998 წლის 12 მარტს, შედგა დაპირისპირება, მხარეთა ადვოკატებისა და პროკურატურის თანდასწრებით, მოწმე ხ.ტ.-სა და მესამე მოსარჩელე ბ-ნ ბაიოს შორის იმ საუბართან დაკავშირებით რომელიც ხ.ტ.-სა და პირველ მოსარჩელეს ჰქონდათ მეორე და მესამე მოსარჩელეებთან, ბ-ნ დორადოსთან და ბ-ნ ბაიოსთან (იხ. ზემოთ §25), როდესაც ისინი მათ მოსანახულებლად საპატიმროში მივიდნენ. მესამე მოსარჩელემ დაადასტურა რომ ამ საუბრის დროს, ხ.ტ.-ს თან ახლდა პირველი მოსარჩელე და რომელმაც, მეორე მოსარჩელეს თვალწინ, ჩაიწერა საუბარი. მან უცვლელად დატოვა 1997 წლის აგვისტოს ჩვენებები და გაიმუორა რომ ეს საუბარი შედგა 1997 წლის 3 აპრილს. ხ.ტ.-მ განაცხადა რომ ჩანაწერი გაყალბებული იყო. ერთმანეთთან მიმართებაში გამოჩენილი აგრესიულობის გამო, მოსამართლემ შეწყვიტა დაპირისპირება.

35. 1998 წლის 18 მარტს, მოსამართლემ შეირადებული ორგანიზაციის წევრობაზე, ბრალი წაუყენა ყველა მოსარჩელეს და მათ შორის უფროს-ლეიიტენანტ ბაკეროს, რომელსაც მანამდე ბრალი წაუყენებული არ ჰქონდა. ამის გამო, მეხუთე მოსარჩელეს პირველად მოეთხოვა, როგორც ბრალდებულს გამოცხადება და ჩვენების მიცემა. რაც შეეხება პირველ მოსარჩელეს, მას ბრალი წაუყენა ადამიანების უკანონოდ დაპატიმრებაში, წამებისა და მკვლელობებისათვის, მაგრამ დროებით პატიმრობაში არ იყო აყვანილი. განაჩენში, მოსამართლე მიუთითებდა, რომ პირველი, მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეების (შესაბამისად, უფროსი ლეიიტენანტ, სამოქალაქო გვარდიის გენერალი და გუიპუსკოას სამოქალაქო გუბერნატორი) თანდასწრებით და თანხმობით, მოსარჩელეებმა, ბატონებმა დორადომ და ბაიომ, ზემდგომი პირების ბრაძანებისა და ინსტრუქციების საფუძველზე, მკაცრად დაკითხეს ხ.ა.ლ. და ხ.ი.ს., მიაყენეს მათ ინტენსიური ფიზიკური ტკივილები, აწამეს ინფორმაციის მოსაპოვებლად, რაც მათ საშუალებას მისცემდათ დაეპატიმრებინათ ETA-ს წევრები და მომხრეები. ის ასევე აღნიშნავდა, და როგორც ეს პროკურატურის წარმომადგენელმაც შენიშნა, მესამე მოსარჩელეს განცხადებები, უმეტესწილად, შეიძლებოდა აღიარებულიყო როგორც ნამდვილი, იქიდან გამომდინარე რომ რა დროსაც ეს განცხადებები გაკეთდა, ისინი არ შეესაბამებოდა ა.ა.-ს, მისი ადვოკატისა და ამავე საქმეში მისივე თანბრალდებულის, განცხადებებს, ასევე აღრეული იყო მის მიერ მოწოდებული დეტალები და ინფორმაცია.

36. 1998 წლის 23, 24 და 25 მარტს შედგა მეოთხე, მეხუთე და პირველი მოსარჩელეს წინასწარი ჩვენებების ჩამორთმევა (ანუ ე.წ. *indagatoria*² საბრალდებო განაჩენზე). ისინი არ დაეთანხმნენ წაყენებულ ბრალდებებს. მხარეთა ადვოკატები ესწრებოდნენ ჩვენების მიცემას და კითხვები არ დაუსვამთ. როგორც პროკურატურის

² ბრალდებულის მიერ გაკეთებული განაცხადი (განცხადება) (ესპ.)

წარმომადგენლებმა, ასევე ყველა მოსარჩელეს ადვოკატებმა მხარი დაუჭირეს პირველი მოსარჩელეს დროებით გათავისუფლებას თავდებით.

37. 1998 წლის 26 მარტს, მეორე მოსარჩელეს ჩამოერთვა წინასწარი ჩვენება. მან განაცხადა რომ არ აღიარებდა ფაქტებს, რომელთა ჩადენაშიც ედებოდა ბრალი და გადასცა დოკუმენტი რომლის საფუძველზეც თავს უდანაშაულოდ აცხადებდა.

38. 1998 წლის 31 მარტს, მაშინ მესამე მოსარჩელეს, როდესაც პოსპიტალში იმყოფებოდა, ჩამოერთვა წინასწარი ჩვენება მის წინააღმდეგ ბრალეულობის დამძიმებასთან დაკავშირებით 1998 წლის 18 მარტს. მხარეთა ადვოკატები იქ იმყოფებოდნენ. მესამე მოსარჩელე ირწმუნებოდა რომ სიმართლე თქვა და აღარ სურდა დუმილის უფლების გამოყენება. ჩვენება არ შეუცვლია, თუმცა ოქმები ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. 1998 წლის 21 აპრილს, მან მოითხოვა ახალი ჩვენების მიცემა. ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

39. 1998 წლის 22 აპრილის არამოტივირებული გადაწყვეტილებით, მოსამართლემ უკუაგდო მოსარჩელეების თხოვნა განეხილა ზოგიერთი მტკიცებულება ბრალდების მოწმეთა და იმ არქიტექტორის ჩვენებებთან დაკავშირებით, რომელმაც სარემონტო სამუშაოები ჩაატარა La Cumbre-ს სასახლესა და ასევე იმ მოწმესთან მიმართებაში, რომელმაც ექსპერტიზა გაუკეთა ბრალდებულების ქონებრივ მდგომარეობას. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა მაგრამ არ დაკმაყოფილდა.

40. გამოძიების დასასრულს, რომელიც დაიხურა 1998 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით, საქმე განსახილველად გადაიგზავნა Audiencia National-ის სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ პალატაში.

გ. სასამართლო პროცედურა

41. მოსარჩელეებმა მოითხოვეს 1998 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება, რაზეც უარი ეთქვათ.

42. 1998 წლის 29 სექტემბერს შედგენილ ანგარიშში, სამხედრო პენიტენციალური ცენტრის სანიტარული სამასახურის ექიმ-ფსიქიატრმა და მთავარმა ექიმმა აღნიშნეს რომ მესამე მოსარჩელე დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აღენიშნებოდა თვითდაზიანების კვალი და თვითმკვლელობისადმი მიღრეკილება.

43. 1999 წლის 26 მარტის განკარგულებით, Audiencia National –მა გასამართლების ეტაპი გახსნილად გამოაცხადა.

44. 1999 წლის 29 მარტს, მესამე მოსარჩელე, წერილობით, დაუბრუნდა გამოძიების პროცესში გაკეთებულ ჩვენებას, რომლის მიხედვით ბრალს სდებდა საკუთარ თავსა და სხვა პირებს. ამჯერად, იგი საკუთარი თავისა და სხვა ბრალდებულების უდანაშაულობას ამტკიცებდა.

45. 1999 წლის 20 მაისის სამედიცინო ექსპერტიზაში, სამხედრო პენიტენციალური ცენტრის ექიმი-ფსიქიატრმა განაცხადა, რომ მესამე მოსარჩელეს, რომელიც ამ ცენტრში იყო მოთავსებული, აღენიშნებოდა თვითდაზიანების კვალი, დეპრესიული, აპათიური მდგომარეობა და თავის მოკვლის რისკი. მან დასვა შემდეგი დიაგნოზი:

მძიმე და ქრონიკული ბიპოლარული, აფექტური დარღვევები, მელანქოლიის სიმპტომი, მანიაკალურ-დეპრესიული სინდრომი მძიმე და ხშირი რეციდივებით, პოსტ-ტრავმული სტრესის ქრონიკული გადახრითი დარღვევები, სასოწარკვეთა, აპათია სომატოზური ნიშნებით და « შიში რომ ადარ იყო საკუთარი თავის პატრონი ».

46. 1999 წლის 17 ნოემბერს, Audiencia National –მა მიუდებლად ჩათვალა მოსარჩელეების, პროკურატურისა და სხვა ბრალმდებელი მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გარკვეული რაოდენობა, მათი უსარგებლობის ან განმეორებითი ხასიათის გამო. მომდევნო 19 ნოემბერს, და 13 დეკემბერს, მოსარჩელეებმა თავიანთი უთანხმოება გამოთქვეს ამ გადაწყვეტილების გამო.

47. 1999 წლის 17 ნოემბერს, სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა 20 მაისის ექსპერტიზის მონაცემები. დადგენილ იქნა რომ მესამე მოსარჩელე ბევრ მედიკამენტს იღებდა, რომ უფრო დეპრესიული იყო და მსუბუქად აპათიური და რომ სჭირდებოდა ფსიქიატრიული მკურნალობა. ამ თვალსაზრისით, არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა. 1999 წლის 7 დეკემბერს, მეორე ანგარიშ-მოსხენებამ დააზუსტა რა სახის წამლები (სულ იყო ათიოდე) გამოეწერა მოსარჩელეს.

48. საქმის განხილვა დაიწყო 1999 წლის 13 დეკემბერს. ოუმცა, იმავე დღესვე შეტერდა მესამე მოსარჩელეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. სხდომის თავ-რემ ყველა მხარისათვის მოსმენა მეორე დღისათვის გადადო. მესამე მოსარჩელე სამა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა გასინჯა, პროკურატურის მოთხოვნით. ექიმებმა დაასკვნეს, რომ მესამე მოსარჩელეს არც ფიზიკური და არც ფსიქიკური თვალსაზრისით არ შეეძლო პროცესზე დასწრება. მოსარჩელე პერიოდულად ისინჯებოდა Audiencia National –ის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მიერ, როგორც ეს წინასწარ იყო შეთანხმებული.

49. მოსმენები განახლდა მეორე დღეს და გრძელდებოდა მრავალი დღის განმავლობაში. მოსარჩელეებმა მოითხოვეს, რომ პირველ რიგში გამოცხადებულიყო მესამე მოსარჩელე, მაგრამ პროკურატურამ გადაწყვიტა არ შეეცვალა დაკითხვებისათვის გათვალისწინებული განრიგი.

50. მოსმენებში, როგორც კერძო ბრალდების მხარემ, მონაწილეობა მიიღეს ქალბატონებმა ფ.ა.ს.-მ და მ.ხ.ა.ბ.-მ, მსხვერპლთა მშობლებმა, და სახალხო ბრალდების მხრიდან გამოვიდა ქ. ტოლოსას მუნიციპალიტეტი და ასოციაცია წამების წინააღმდეგ. მოგროვდა ასამდე მოწმის ჩვენება.

51. მესამე მოსარჩელეს მიერ გაკეთებული საბრალდებო განცხადებები, წაკითხულ იქნა დახურულ კარს მიღმა ჩატარებულ სხდომაზე. მან განმარტა რომ ეს ბრალდებანი წარმოთქვა მისი გათავისუფლებისა და თავისი ოჯახის გაბეჭდიერების მიზნით. მან უარი განაცხადა ბრალდების მხარეთა მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე, მაგრამ უპასუხა თავისი ადვოკატისა და სხვა მოსარჩელეების მიერ დასმულ შეკითხვებს.

52. მესამე მოსარჩელე დაიკითხა 1999 წლის 21 და 22 დეკემბერს. საქმის მოსმენისას და განხილვისას სხვადასხვა პერიოდებში, ბოლო სიტყვის უფლების გამოყენებით, იგი დაუბრუნდა გამოძიების დროს გაკეთებულ განცხადებებს და განაცხადა რომ ციხეში მარტოობამ და მწუხარებამ აიძულა ყალბი განცხადებები გაეკუთვნინა გამომძიებლის წინაშე, რათა გათავისუფლებულიყო დროებითი პატიმრობიდან,

რომელიც ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. მან მიუთითა რომ 1997 წლის აგვისტოს განცხადებებში, მხოლოდ და მხოლოდ გაიმეორა გამოძიების საქმეში შესული ბრალდებები, რომელზეც ხელი მიუწვდებოდა პროცედურის დაწყებისთანავე. მან უარი განაცხადა პროკურატურისა და ბრალდების სხვა მხარეების მიერ დასმულ კითხვებზე და მხოლოდ თავისი წარმომადგენლისა და სხვა მოსარჩელეების წარმომადგენლების კითხვებს უპასუხა.

53. საქმის მოსმენა დასრულდა 2000 წლის 30 მარტს.

54. 2000 წლის 26 აპრილს, Audiencia National-ის სისხლის სამართლის პალატამ გამოიტანა განაჩენი საქმის არსებით მხარეზე.

მან ყველა მოსარჩელე დამნაშავედ ცნო, თითოეული მათგანი ორი მკვლელობისათვის და პირთა უკანონო პატიმრობაში აყვანისათვის. პირველ მოსარჩელეს მიესაჯა 28 წლით თავისუფლების აღკვეთა თითოეული მკვლელობისათვის და 6 წელი და 6 თვე პირთა პატიმრობაში უკანონოდ აყვანისათვის, მეორე მოსარჩელეს მიესაჯა 27 წელი და 10 თვე პატიმრობა თითოეული მკვლელობისათვის და 6 თვე და 1 დღე პატიმრობა უკანონო პატიმრობაში პირთა აყვანისათვის, მესამე მოსარჩელეს მიესაჯა პატიმრობა 27 წლითა და 10 თვით, თითოეული მკვლელობისათვის და 6 წელი და ერთი დღე უკანონო პატიმრობაში პირთა აყვანისათვის, მეოთხე მოსარჩელეს მიესაჯა 28 წლითა და 6 თვით პატიმრობა თითოეული მკვლელობისათვის და 7 წელი უკანონოდ დაპატიმრების თვითოეული დანაშაულისათვის. და ბოლოს, მეხუთე მოსარჩელეს მიესაჯა 28 წელი და 6 თვე თვითოეული მკვლელობისათვის, ასევე 7 წელი უკანონოდ დაპატიმრების თვითოეული დანაშაულისათვის. ყველა მოსარჩელეს კატეგორიულად აეკრძალა სახელმწიფო სამსახურში მუშაობა და ამასთან ერთად, დაეკისრათ ფულადი კომპენსაციის გადარიცხვა ერთობლივად, სოლიდარული წესით ხ.ა.ლ.-ისა და ხ .ი.ს.-ს მემკვიდრეებისათვის.

55. განსაკუთრებით კი, რაც შეეხება მკვლელობებს, Audiencia National –მა დამტკიცებულად აღიარა რომ ETA-ს წევრების საფრანგეთში დაკავებასა და მათ სან-სებასტიენში გადაყვანა უბრძანა მეოთხე მოსარჩელემ პირებს რომელთა ვინაობა დადგენილი არ იყო.

56. Audiencia National-ი, თავის დასკვნებში დაეყრდნო მოსარჩელეების ჩვენებებს და მესამე მოსარჩელეს მიერ გადაცემულ ხმოვან ჩანაწერს, გამომძიებელთან დახურულ კარს მიღმა მიმდინარე დაკითხვების დროს, რომლის დროსაც მან განაცხადა რომ ეს ჩაწერა მოხდინეს მან და მეორე მოსარჩელემ საპატიმროში, როდესაც მათთან სანახავად მივიღნენ ხ.ტ. და პირველი მოსარჩელე. თუმცადა, მესამე მოსარჩელე ამტკიცებდა, ზეპირი მოსმენის დროს, რომ ხსენებული ჩანაწერი ყალბი იყო და რომ იგი გაკეთებული იყო კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. Audiencia National –მა სრულიად არარეალურად მიიჩნია ფიქტიური საუბრის ხელოვნურად შექმნის ჰიპოთეზა და მიუთითა, სხვათაშორის, რომ ჩანაწერი გაყალბების არავითარ ნიშანს არ შეიცავდა.

57. ასევე მხედეველობაში იქნა მიღებული მრავალი ჩვენება, მათ შორის იმ ქალაქის პოლიციელებისა და სამოქალაქო გვარდიის აგენტების ჩვენებები, სადაც გვამები იქნა აღმოჩენილი (ბუსო), დაცულ მოწმეთა ჩვენებები და ჩატარებული ექსპერტიზები,

რომელთა მეშვეობით მოხდა ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ლ.-ის გვამების იდენტიფიკაცია, ასევე მოსმენილ საუბრებზე დაყრდნობით მიცემული ჩვენებები, კერძოდ ერთეურთი მოწმის ჩვენება, რომლის მიხედვით, მეორე მოსარჩელემ მას უთხრა, რომ მესამე მოსარჩელესთან და სამოქალაქო გვარდიის სხვა აგენტებთან ერთად დაპატიმრეს და მოკლეს მსხვერპლები. ცნობისათვის, ამ მოწმემ 7 მილიონი პესეტა (42000 ევრო) მიიღო ამის განცხადებისათვის.

58. Audiencia National-მა, ასევე მხედველობაში მიიღო განცხადებები რომლებსაც მხოლოდ მითითებითი დანიშნულება ჰქონდათ, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა სხვა მტკიცებულებების მოძიება, ასევე პოლიციის აგენტის ლ.ს.-ს განცხადებები, რომელსაც ენდობოდა მეხუთე მოსარჩელე. კერძოდ კი, ლ.ს.-მ აღწერა როგორ მოხდა მეორხე მოსარჩელეს ინფორმირება მანქანაში, რომელშიც ისხდნენ თავად და მეხუთე მოსარჩელე, « ორი საშუალო მნიშვნელობის მქონე პირის » დაპატიმრებაზე და განაცხადა რომ მისმა იერარქიულმა ზემდეგმა მას უბრძანა გამოეთხოვა La Cumbre-ს სასახლის გასაღებები სამოქალაქო გუბერნატორისათვის სესენბული პირების იქ გადასაყვანად.

59. სხვათაშორის, La Cumbre-ს სასახლის ინსპექციის ოქმიდან ირკვეოდა რომ მესამე მოსარჩელე ქარგად იცნობდა შენობას და თავად მისცა განმარტებანი არქიტექტურული ცელილებების თაობაზე, რომელიც განხორციელდა შემდგომში და ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა. ამას გარდა, მესამე მოსარჩელემ, ბოლო სიტყვის თქმის უფლება გამოიყენა და განაცხადა, რომ სასოწარკვეთა დაუფლა მეორხე მოსარჩელეს, გენერალ როდრიგესის მიერ მიტოვების შეგრძნებამ, რამაც ყალბი განცხადებები გააკეთებინა 1997 წლის აგვისტოში. სასამართლომ აღნიშნა რომ ამ საქმეში რომ მას მონაწილეობა არ მიედო და არ ემოქმედა მეორხე მოსარჩელეს ბრძანების თანახმად, მესამე მოსარჩელეს მიტოვების ასეთი გრძნობა არ გაუჩნდებოდა თავის ზემდეგის მიმართ.

60. თავიაანთ განაჩენში, სისხლის სამართლის პალატის მოსამართლეებმა აღნიშნეს თუ რა სირთულეებს წააწყდნენ გამოძიებისა და ზედამხედველობის პერიოდში, რომლებიც განხორციელდა ზოგიერთ დაცულ მოწმესთან მიმართებაში. მტკიცებულებების დადგენის მიზნით, მათ განიხილეს თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი საინფორმაციო ცენტრის დოკუმენტები, რომლებიც უპვე აღარ იყო საიდუმლო, აქედან სამი საქმეს დაერთო. ეს დოკუმენტები ეხებოდა ესპანეთის ჩარევის მრავალ შესაძლებლობას სამხრეთ საფრანგეთში, რომელთა შორის იყო « გაუჩინარება უცანონო დაპატიმრების გზით », რომელიც აღწერილია როგორც ყველაზე რეკომენდირებული მეთოდი [ETA-ს წინააღმდეგ საბრძოლველად], მიუთითებდნენ რომ ასეთი ტიპის მოქმედებანი მოკლე დროში იყო გათვალისწინებული, და რომ მათი განხორციელება შეეძლო სამოქალაქო გვარდიას სენ-სებასტიენის ხელისუფლებაზე დაყრდნობით და რომ მოქმედების ფორმის შერჩევა დაყოვნების გარეშე უნდა მომხდარიყო.

დ. საკასაციო გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში

61. მოსარჩელეებმა, ისევე როგორც ბრალდების მხარეებმა და სახელმწიფო ადვოკატმა³, როგორც მოპასუხე მხარემ, შეიტანეს საკასაციო საჩივარი.

62. 2001 წლის 20 ივნისის განჩინებით, უზენაესმა სასამართლომ მეხუთე მოსარჩელეს თავისუფლების აღკვეთა დაუყვანა 9 წლამდე და ერთ დღემდე პირთა უკანონოდ დაპატიმრებისათვის, და მიიჩნია რომ თითოეული პასუხისმგებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამამდიმებელი გარემოება ასევე გათვალისწინებულია ამ დანაშაულებებითან მიმართებაში. რაც შეეხება საბრალდებო ჩვენებებს, რომლებიც მესამე მოსარჩელემ დახურულ კარს მიღმა მისცა, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა რომ არც მხარეებთან მიმართებაში გამოძიებაზე გრიფით საიდუმლოს მოხსნის, არც გამოძიების დასრულების შემდეგ, თანაბრალდებულებს, მესამე მოსარჩელესათვის არ მოუთხოვიათ ახალი ჩვენების მიცემა იმ განაცხადებებთან მიმართებაში, რომლებითაც მათ ბრალი ედებოდათ.

63. რაც მეოთხე მოსარჩელეს დასკვნას, რომ მისი წარმომადგენლისათვის გამოძიების მსვლელობისას, შეუძლებელი იყო ბრალდების ჩვენების საწინააღმდეგოდ რაიმეს წარმოდგენა; სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა რომ მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებების შემდეგ 1997 წლის 12, 19, 21 და 26 ავისტოს, მაშინ როდესაც გამოძიება საიდულო ხასიათს ატარებდა, 1997 წლის 8 სექტემბერს, საიდუმლოების გრიფის მოხსნის შემდეგ,

« [მეოთხე] მოსარჩელეს ან ნებისმიერ სხვა მოსარჩელეს შეეძლო გამოეთხოვა ახალი ჩვენება, რომელიც მესამე მოსარჩელეს ჩვენების საპირისპირო შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ეს არ მოუთხოვია არც მას და არც სხვა რომელიმე მოსარჩელეს. ანალოგიურად, გამოძიების დახურვის მომენტში, 1998 წლის 28 აპრილს, მაშინ როდესაც გამოძიებას საიდუმლოს გრიფი აქხადა 10 დღით ადრე, არცერთს [მოსარჩელეს] არ მოუხდენია რეაგირება მესამე მოსარჩელეს განცხადებაზე. ეს კი ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ სხვებული განცხადება იმ ჩვენების საწინააღმდეგო არ იყო, რომელიც არ ეჭვდებარებოდა გამოძიების საიდუმლოებას. მეოთხე მოსარჩელეს ადვოკატმა განაცხადა რომ დაცვის სტრატეგიას წარმართვდა მოსარჩელეს ადვოკატი (...), მეოთხე მოსარჩელეს არანაირი ისეთი მტკიცებულება არ წარუდგენია, რომლის განხილვაც შეუძლებელი იქნებოდა გამოძიების საიდუმლო ხასიათიდან გამომდინარე ან საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს მიერ. ამას გარდა, გასაიდუმლოების გამო, დაცვის შეუძლებლობის არანაირი კონკრეტული მაგალითი არ არსებობს. აქ საქმე ეხება ზოგადი ხასიათის საჩივარს (...). ».

64. მესამე მოსარჩელეს ჩვენების სანდოობას რაც შეეხება, იქიდან გამომდინარე, რომ აღენიშნებოდა ფსიქიკური დარღვევები, უზენაესმა სასამართლომ განმარტა რომ მხედველობაში მიიღო, მოსარჩელეს ჯანმრთელობის მდომარეობა. მიუხედავად ამისა, მან უარყო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მისი ჯანმრთელობს მდგომარეობასა და 1997 წლის აგვისტოში მიცემულ ჩვენებებს შორის, იქიდან გამომდინარე რომ, ერთის მხრივ, სასამართლოს აზრით, მის მიერ გაკეთებული განცხადებები გამყარებული იყო სხვა ელემენტებით ; მეორეს მხრივ, სამედიცინო ექსპერტიზა არ თვლიდა რომ ეს ყველაფერი მოსარჩელეს შეეძლო გამოეგონებინა. ვინაიდან, მეოთხე მოსარჩელეს დასკვნები მხოლოდ და მხოლოდ ეფუძნებოდა ვარაუდებს, მესამე მოსარჩელეს ჩვენების სანდოობაზე, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა რომ

³ ესპანეთში, არსებობს სახელმწიფო ადვოკატების უზენაესი კორპუსი, რომელიც წარმოადგენს ესპანეთის სახელმწიფოს ცენტრალური ადმინისტრაციის უზენაეს ორგანოს პასუხისმგებელია სახელმწიფოსა და მისი ძირითადი ინსტიტუტების იურიდიულ დაცვაზე ნებისმიერ სასამართლო პროცესზე ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე აგრეთვე იურიდიულ დახმარებას უწევს ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სანდოობა უკავშირდებოდა უშუალობის, კერძოდ კი [ჩვენების] «გაგებას, აღქმას, ასიმილაციას და აზრის შეგნებულად გამოტანას იმის მხედველობაში მიღებით თუ რა ითქვა ან როგორი იყო [მესამე მოსარჩევეს] რეაქცია, მისი ჟესტები და ფსიქიკური მდგრადარეობა რომელიც აშკარა გახდა ჩვენების მიცემისას »; ასე რომ სანდოობა არ შეიძლებოდა «კონტროლს დაქვმდებარებოდა საქმის საკასაციოზე განხილვისას ».

65. უკანონო პატიმრობაში აყვანის თაობაზე, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი :

« (...) ჩვენ უკვე შევეხეთ ორ დეტალს, რომლებიც მომხდარ ფაქტებს ეხება : დაკავებას და დაკითხვას, [მესამე] მოსარჩევეს პირდაპირი მტკიცებულების მეშვეობით, რომელიც კიდევ უფრო გაამყარა მოწმეების ლ.ს.-სა და ბ.ა.-ს ძალიან ზუსტება და ძალიან მნიშვნელოვანმა ჩვენებებმა [მეოთხე მოსარჩევეს] მიერ მიღებულ სატელეფონო ზართან დაკავშირებით, მაშინ როდესაც იგი მგზავრობდა 1983 წლის 15-16 ოქტომბრის დაქაც თნიატიდან სან სებასტიინამდე, ასევე № (...) მოწმის ჩვენებებმა მოსმენილ საუბართან დაკავშირებით და სხვა ელემენტებმა. პირველი დადგენილი დეტალის საფუძველზე [ჩვენ ვასკნით] (...) ორი პირვენების სიკვდილთან დაკავშირებით, რომელიც მოყვა მათ დაბატიმრებას და იმ ფაქტს რომ ისინი არავის გაუთავისუფლებია. კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნის ხელყოფის გარეშე უდანაშაულობის პრეზუმეციაზე, ეს იძლევა დანამდვილებით იმის დასკვნის საშუალებას, რომ ორვე პატიმრო მოკლული იქნა მათივე დამკავებლების მიერ, რომლებმაც ისინ საკანში გამოკერებს, დაკითხეს და არ გაათავისუფლეს. »

« (...) პირების უკანონოდ დაპატიმრება, რომელთა გვამები შემდგომში იქნა ნაპოვნი, დადგენილია პირდაპირი მტკიცებულებებით და სხვა უკვე განხილული მტკიცებულებებისა და ელემენტების სრული კომპლექტის საფუძველზე. (...) ჩადენილი დანაშაული, უკანონონო პატიმრობაში აყვანა მიუთითებს მკვლელობის ჩადენის ფაქტსაც და ამის უარყოფა შეუძლებელია სხვა რამე საპირისპირო ფაქტით ან დეტალით. და ბოლოს, სისხლის სამართლის საქმეების პალატის მსჯელობა დეტალური, დამაჯერებელი და გონიგრულია. »

« (. . .) ეს მსჯელობა აბსოლიტურ შესაბამისობაში მოდის ლოგიკის კანონებთან (. . .) იმ თვალსაზრისით, რომ მეოთხე მოსარჩევე შეთანხმებული იყო მეუთე მოსარჩევესთან, რომელიც ამ ოპერაციას ედგა სათავეში და გასცა ბრძანება უკანონოდ დაპატიმრებაზე. უკანონოდ დაპატიმრების მატერიალური აღსრულება, ზედამხედველობა, დაკითხვები განხორციელდა მისი ქვეშევრდომების მიერ და მითითებები გადაიცემოდა პირველი მოსარჩევეს მიერ. დაკავებულების გადაყვანა და მკვლელობა ეჭვარეშეა, მათ მიერ არის ჩადენილი, ვინაიდან აშკარაა მათ ბრძანება ჰქონდათ მიცემული, რომელიც შეასრულებს. »

« (. . .) ეს სიტუაცია, როდესაც ადამიანები იმყოფებიან იმ პირთა კონტროლის ქვეშ, რომლებმაც შეელანირი კანონის გვერდის ავლით, ისინი დაპატიმრებს, ისე რომ არც დადგენილა, გაათავისუფლეს თუ არა, ანუ არანაირი განმარტება არ ყოფილა ; ბრალდებულები უარყოფენ კიდევ თავად უკანონოდ დაბატიმრების ფაქტს, პირდაპირი მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად. ეს ყველაფერი იმის მაჩვენებელია, როგორც ამას პალატა აღნიშვნას, რომ ზემოხსენებული პირების სიკვდილში, ცხადია, ბრალი მიუძღვით იმ პირებს რომლებმაც ბრძანება გასცეს მათ დაკავებაზე. »

66. რაც შეეხება მკვლელობას, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა რომ მათ არ ევალებათ მტკიცებულებების ხელახალი განხილვის დაწყება არამედ იმის დადგენა, რომ ეს მტკიცებულებები არსებობდა და საკმარისი იყო. ამ თვალსაზრისით, ყველა მაჩვენებლის შედეგად, უდანაშაულობის პრეზუმეცია მოიხსნა და მოსამართლეებმა ცნეს მოსარჩევე პირთა დამნაშავეობა, არაკანონიერ პატიმრობაზე არსებული ფაქტების საფუძველზე ლოგიკური მსჯელობისა და დასკვნის შედეგად.

ე. გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში

67. მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სამი « amparo »-ს⁴ საჩივარი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, 2001 წლის 14, 18 და 19 სექტემბერს. კონსტიტუციის 24-ე მუხლზე დაყრდნობით, მათ გააპროტესტეს სამართლიანი პროცესის უფლებისა და უდანაშაულობის პრეზუმაციის ხელყოფა.

68. 2002 წლის 19 თებერვლისა და 8 აპრილის ორი გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს « amparo »-ს საჩივრები ნაწილობრივ მისაღებად ჩათვალა იმ პუნქტების საფუძველზე რომელიც ეხებოდა უდანაშაულობის პრეზუმაციის დარღვევას ბრალდების არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, რომელთა საფუძველზე მოსარჩელეები დამნაშავებად იქნენ ცნობილნი. ამ პუნქტის მიღება განსაკუთრებით ეფრდნობოდა იმ ფაქტს რომ მოსარჩელებთან მიმართებაში სასჯელის გამოტანისას, მხედველობაში იყო მიღებული მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებები დახურულ კარს მიღმა და დამნაშავედ იქნენ აღიარებულნი გამოძიების პროცესში, სხვა მოსარჩელეების ადვოკატების დაუსწრებლად. მეოთხე მოსარჩელესათვის, საქმე ეხებოდა სამართლიანი პროცესისა და უდანაშაულობის პრეზუმაციის უფლებების ხელყოფას, რომლებიც ასევე მიღებულ იქნა განსახილველად, კერძოდ კი ის ნაწილი რომელიც შეეხებოდა დაცული მოწმის ჩვენების ნამდვილობას, მტკიცებულებებს, რომლის საფუძველზე გადაწყდა მოსარჩელეების დასჯა მკვლელობისათვის და საბრალდებო მტკიცებულებების არ არსებობას.

69. 2002 წლის 11 აპრილს, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა განეხილა სამი სარჩელი პლენალურ ასამბლეაზე. 2002 წლის 21 მაისს კი გადაწყვიტა ამ სამი საჩივრის გაერთიანება.

70. 2002 წლის 19 ივნისს ჩატარდა დია პროცესი. მოსარჩელეთა წარმომადგენლების დაცვის სიტყვის შემდეგ, გამოვიდა სახელმწიფო ადვოკატი და მოითხოვა რომ «amparo-ს» ნაწილობრივი შეფარდება, რათა საქმე ხელახლა განსახილველად გადასცემოდათ საქმის არსებითი მხარის განმხილველი მოსამართლეებისათვის, ახალი განაჩენის გამოსატანად, ისე რომ მხედველობაში არ მიეღოთ გამოძიების პროცესში მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებები ისეთ პირობებში რომლებიც არანაირად არ პასუხობდა მხარეების დაპირისპირების პრინციპს და არც მესამე მოსარჩელეს მიერ გადაცემული ხმოვანი ჩანაწერის შინაარსს. სახელმწიფო ადვოკატმა, სხვათაშორის მიიჩნია, რომ მკვლელობის დადგენა შეუძლებელი იყო უკანონო პატიმრობაში აყვანით ჩადენილი დანაშაულით.

71. საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე, ასევე წარსდგა სისხლის სამართლის პროცედურაში, კერძო ბრალდების მხარე და მხარი დაუჭირა პროცესის ჩატარებას «ამპაროზე» უარის თქმის სასარგებლოდ.

72. ბოლოს გამოვიდა პროკურატურის წარმომადგენელი და მოითხოვა « ამპარო-ს » ნაწილობრივ შეფარდება მკვლელობასთან დაკავშირებით უდანაშაულობის

⁴ « Amaro » გულისხმობს პირთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის გარანტის. არ ააქვს ანალოგი ფრანგულ, ანგლო-საქსონურ სამართალში, გვხდება მირითადად ესპანურ ენოვან ქვეყნების სამართალში (ესპანეთი, მექსიკა...). « ამპაროს » საჩივარი შეიძლება შეიტანოს ყველა იმ ადამიანმა, რომელიც თვლის რომ დაირღვა მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები ადმინისტრაციული აქტით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

პრეზუმუციის პრინციპის დარღვევაზე. ამ თვალსაზრისით, მან აღნიშნა რომ მკვლელობისათვის სასჯელი გამოტანილ იქნა ერთადერთი მინიშნების საფუძველზე, კერძოდ კი დაცული მოწმის განცხადებებზე (მოწმე 2345), და გამოვლინდა რომ ზოგიერთ შემთხვევაში მან ცრუ ჩვენება მისცა. პროკურორმა ასევე მიუთითა რომ არ ჟეიძლება იმის დასკვნა რომ არაკანონიერად დაპატიმრების მონაწილეებმა ჩაიდინეს მკვლელობა. რაც შეეხება არაკანონიერად დაპატიმრების დანაშაულს, მისი აზრით, გამოტანილი სასჯელი დაეფუძნა მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულ იქნა ყველა გარანტიის დაცვით, მათ შორის მესამე მოსარჩელეს დაკითხვა პროცესზე მის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე გამოძიების მიმდინარეობის პროცესში, რამაც შესაძლებელი გახადა ზემოხსენებლი საბრალდებო განცხადებების დაპირისპირება, რომლის დროსაც მესამე მოსარჩელეს პკითხეს თუ რა მოტივი ამოძრავებდა, 1997 წლის აგვისტოში, როდესაც ბრალო დასდო სხვა მოსარჩელეებს. პროკურორის აზრით, პროცესზე გამოსულ მხარეებს საკმარისი შესაძლებლობანი ჰქონდათ გაეპროტესტებინათ მესამე მოსარჩელეს ჩვენებები.

73. 2002 წლის 22 ივნისის განჩინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც შეიკირიბა პლენარულ სხდომაზე, 12 მოსამართლის მონაწილეობით, არ დააკმაყოფილა გაერთიანებული « ამპაროს » სახივარი.

74. უდანაშაულობის პრეზუმუციის დარღვევას რაც შეეხება, უმაღლესმა სასამართლო ორგანომ განმარტა რომ მისი მოვალეობა შემოიფარგლებოდა დაედგინა კონსტიტუციის შესაბამისად იქნა თუ არა მოპოვებულო საბრალდებო მტკიცებულებები და ფაქტები დადასტურებული იყო თუ არა გონივრულად, მსჯელობის საფუძველზე თუ უკანონოდ და თვითნებურად ; და რომ მის კომპეტენციაში არ შედიოდა განხილული პირდაპირი მტკიცებულებების ხელახლი შეფასება.

75. არაკანონიერად დაპატიმრებისათვის, მოსარჩელეთა დასჯასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია რომ საბრალდებო განცხადება არ ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ მესამე მოსარჩელეს მიერ, დაპირისპირების გარეშე, მოსამართლისათვის მიცემულ ჩვენებებს, არამედ იგი ასევე უფუძნებოდა სხვა მტკიცებულებებს, კერძოდ კი, დანაშაულის ჩადენის ადგილების დათვალიერებას და ლ.ს.-ს ჩვენებებს. სასამართლომ ასევე დაამატა რომ მტკიცებულებების შეფასების დროს, ამ ჩვენებების მხედველობაში მიღებას არაფერი უშლიდა ხელს და აღნიშნა რომ პირველ ხანებში, მესამე მოსარჩელემ უარყო თავისი და სხვების მონაწილეობა მომხდარ ფაქტებში, სანამ შემდგომში მათ ბრალს დასდებდა დახურულ კარს მიღმა მიცემულ ჩვენებებში. როდესაც საიდუმლოების გრიფი მოიხსნა, სხვა მოსარჩელეების დამცველთა თანდასწრებით, მას მაინც არ შეუცვლია გამოძიების დროს მიცემული ჩვენება, არც წერილობითი ფორმით რომელიც წარმოადგინა 1999 წლის 29 მარტს (იხ. ზემოთ §44) და არც სიტყვიერად საქმის განხილვისას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მესამე მოსარჩელეს მიერ, 1997 წლის აგვისტოში, დახურულ კარს მიღმა გაეთებული განცხადებები, არ ყოფილა ერთადერთი რომლითაც სხვა მოსარჩელეებს ბრალი ედებოდათ გამოძიების პროცესში. როგორც კი, აღიარებულ ჩვენებას საიდუმლოდ შენახვა მოეხსნა, მესამე მოსარჩელემ, სხვა მოსარჩელეთა ადვოკატების თანდასწრებით, მრავალგზის გაიმეორა იგივე განცხადებები და ეს ყველაფერი მოხდა დაპირისპირების პრინციპის დაცვით, კერძოდ, განცხადებებისა გაკეთებისას და დაპირისპირების დროს 1997 წლის 18 სექტემბერს, პირველი მოსარჩელეს წინაშე (იხ. ზემოთ §28), 1997 წლის 24 ოქტომბერს ა.-ს წინაშე (§29), 1997 წლის 29

ოქტომბერს ადგოკატ ა.ა.-ს წინაშე (§30), 1997 წლის 18 ნოემბერს მოწმე პ.ს.-ს წინაშე (§33), 1998 წლის 12 მარტს მოწმე ხ.ტ.-ს წინაშე (§34), ასევე La Cumbre-ს სასახლის ინსპექციის დროს 1997 წლის 31 ოქტომბერს (§31) და მის მიერ მიცემული წინასწარი ჩვენების დროს 1998 წლის 31 მარტს (§38). საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მთავარმა გამომძიებელმა მოსარჩელებისა და მათ ადგოკატებს საშუალება მისცა დაპირისპირებოდნენ მესამე მოსარჩელეს და უკუგდოთ მისი განცხადებები და თუ მათ ამაზე უარი თქვეს, ეს «იმიტომ რომ მათ ეს არ მოისურვეს ან იმ მომენტისათვის მიზანშეწონილად არ ჩათვალეს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ». სასამართლომ აღნიშნა, რომ მესამე მოსარჩელე დაიკითხა ზეპირი მოსმენების დროს დაპირისპირების პრინციპის დაცვით. მან მიიჩნია, რომ ამ მტკიცებულებას დანამდვილებით შეეძლო მოეხსნა უდანაშაულობის პრეზუმუცია. ის ფაქტი რომ საქმის არსებითი მხარის განმხილველმა მოსამართლებმა უფრო მეტი წონა მიანიჭეს გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს, ვიდრე მათი ავტორის მიერ ამ ჩვენებების უარყოფას პროცესზე, კონსტიტუციურად კანონიერია. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ასე ჩამოყალიბდა:

« [მესამე მოსარჩელეს მიერ] გამოძიების პროცესში გაპეოებული განცხადებები, რომელსაც დახმარებას თვითი ადგოკატი უწევდა, და შემდგომში სხვა მოსარჩელეების ადგოკატების თანდასწრებით ამ განცხადებების გამოყორება ზეპირი მოსმენების დროს, ჩატარდა კონსტიტუციური და კანონიერი მოთხოვნების დაცვით. მესამე მოსარჩელეს დაკითხვა სასამართლო სხდომაზე მთლიანად შეპირისპირების ფორმით ჩატარდა და წარმოადგენს დირებულ მტკიცებულებას, რომელსაც ძალუმს უდანაშაულობის პრეზუმუციის მთლიანად შეცვლა. მაშასადამე, კონსტიტუციურად საფუძვლიანია ის რომ საქმის არსებითი მხარის განმხილველმა იურისდიქციულმა ორგანომ უფრო სანდოდ მიიჩნია ზემოხსნებული განცხადებები, ვიდრე სასამართლო სხდომაზე მათი უარყოფა. სხვა საკითხია იმის ცოდნა, რომ სხენებული ჩვენებები რომელიც ერთერთმა თანაბრალდებულმა გააკეთა საკმარისია თუ არა გასაჩივრებული სასჯელის გამართლებისათვის ».

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნია რომ გამოძიების დროს, მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებები, რომელმაც აღიარა დაკავებულების დაკითხვებში მონაწილეობა და აღწერა დაკავების ადგილის შიდა კონფიგურაცია (La Cumbre-სასახლე), გამყარებული იყო ადგილებზე ჩატარებული ინსპექციით და მოწმე ლ.ს.-ს ჩვენებებით, რომლის სანდოობის უჭირვაშ დაყენება არ შეიძლება და რომელმაც სხვათაშორის, დაადასტურა 1983 წლის 15 ოქტომბერს შემდგარი საუბრის შინაარსი მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეს შორის ამ უკანასკნელის მანქანაში, სადაც პირველმა მეორეს აუწეს საშუალო მნიშვნელობის მქონე ორი პირის დაკავება, რაც, ეროვნული სასამართლოების განმარტებით ნიშნავდა რომ დაპატიმრებულები იყვნენ ხ.ა.ლ. და ხ.ი.ს. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ელემენტები საკმარისად ამყარებდა თანაბრალდებულთა ჩვენებებს და სასამართლო სხდომაზე მათი შემდგომი უარყოფა იყო მხოლოდ და მხოლოდ მესამე მოსარჩელეს მცდელობა განთავისუფლებულიყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და დაეცვა თვითი კოლეგა, მეორე მოსარჩელე ისევე როგორც სხვა ზემდგომი პირები.

76. მკვლელობისათვის მოსარჩელეების დასჯას რაც შეეხება, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა თუ როგორ დაასკვნა Audiencia Nacional-მა დადგენილი ფაქტების საფუძველზე (La Cumbre-ეს სასახლეში ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს.-ს არაკანონიერად დაკავება, რასაც მათი სიკვდილი მოჰყვა) რომ მკვლელობები ჩადენილი იყო მოსარჩელეების მიერ. მან მიიჩნია რომ დაკავებულთა მოკვდაზე გადაწყვეტილება « შეიძლებოდა მხოლოდ იმათ მიედოთ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება მათ არაკანონიერ დაკავებაზე » და რომ « არანაირი მიზეზი არ

არსებობდა იმისათვის რომ ეს ებრძანებინათ სხვა პირებისათვის და არა იმათოვის რომლებმაც უზრუნველყველ უზრუნველყველ [მსხვერპლების] დაკავება ».

77. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ Audiencia Nacional-ის დასკვნა, რომლის მიხედვით, მეოთხე მოსარჩელებმ განკარულება გასცა მსხვერპლთა არაკანონიერად დაპატიმრებაზე, ეყრდნობოდა მოწმე ლ.ს.-ს ჩვენებას რომელმაც განმარტა რომ, მეოთხე მოსარჩელე ინფორმირებული იყო ზემოხსენებული არაკანონიერი დაკავების ფაქტზე და დაკავებულები მისთვის უნდა გადაეცაო, ისევე როგორც, თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი საინფორმაციო ცენტრის დოკუმენტებს, რაც გულისხმობდა რომ ფაქტები ჩადენილ იქნა სამოქალაქო გვარდიის წევრების მიერ სან სებასტიანოს სამხედრო ხელისუფლების მხარდაჭერით.

78. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, მკვლელობებთან დაკავშირებული არაპირდაპირი მტკიცებულების არ ქონა ხელს არ უშლიდა დაედგინა დაკავებულთა მკვლელობა იმდენად რამდენადაც უზენაესმა საამართლომ ჩათვალა რომ :

« (. .) იმ სიტუაციაში როდესაც ეს პიროვნებები იმყოფებოდნენ იმ პირთა კონტროლის ქვეშ, რომლებმაც უველა კანონის გვერდის ავლით, დააკავეს, ისე რომ არ გაუთავისუფლებიათ და არანაირი განმარტება არ მიუციათ, როდესაც ბრალდებულები უარყოფენ არაკანონიერად დაპატიმრების ფაქტსაც კი, მაშინ როდესაც ეს არაპირდაპირი მტკიცებულებით არის დადგენილი, პალატის [უზენაესი სასამართლოს] აზრით ეს ძალიან ძლიერი მაჩვენებლია იმის რომ ზემოხსენებული პირების სიკვდილი, პტვებარეშე, ბრალად დაედოს იმათ, რომლებმაც დაკავების ბრძანება გასცეს. »

79. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, Audiencia Nacional-ის ეს მსჯელობა, რომლიც შეავსო უზენაესმა სასამართლომ, არ შეიძლება ჩაითვალოს «გონიერივობას მოკლებულად, აბსურდულად, უაკანონოდ, შეუსაბამოდ და ალოგიკურად», რომელიც « ძალიან შორდება მტკიცებულებებს », იმგვარად რომ მკვლელობა არანაირად არ შეიძლება უკავშირდებოდეს დაკავებას, ყოველ შემთხვევაში მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეებთან მიმართებაში, რომლებიც თავიაანთი თანამდებობიდან გამომდინარე, ვალდებული იყვნენ გაეკონტროლებინათ სიტუაცია და განეკარგათ შემდგომში მოკლელი დაკავებულების სიცოცხლე და ფიზიკური სიმრთველე, მაგრამ, დაკავებისას, მათ არანაირი განმარტება არ მიუციათ დაკავებულებისთვის მათ შემდგომ ხელისუფლება ».

80. მეორე და მესამე მოსარჩელეებთან მიმართებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა რომ მკვლელობის ჩადენა დაკავების ფაქტიდან გამომდინარე, ნაკლებად აშკარაა ვიდრე მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რომ როგორც Audiencia Nacional -მა დაადგინა, »არანაირი მიზეზი არ იყო ბრძანება [დაკავებულთა მოკლელიყო სხვა პირებზე] » და არა იმათზე რომლებსაც ევალებოდათ მათზე ზედამხედველობა. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც Audiencia Nacional -მა, ისე უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოწმე ლ.ს.-ს ჩვენება მოსმენილ საუბარზე და ასევე ერთერთ დაცული მოწმის ჩვენება ; სხვა ჩვენებები მომდინარეობდა თანაბრალდებულებისაგან, რომლებმაც ამ თვალსაზრისით არ მოისურვეს, მოწმეთაგან განსხვავებით, სიმართლის თქმა. მან ასევე მიუთითა, რომ ორმა ზემოხსენებულმა მოწმემ ჩვენება მისცა დაუყოვნებლობის და დაპირისპირების პრინციპების დაცვით ; როგორც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, დაცულმა მოწმემ განაცხადა რომ მეორე მოსარჩელემ თავად განაცხადა, რომ ის და მესამე მოსარჩელე, მოქმედებდნენ რა გენერალ როდრიგეს გალინდოს ბრძანებით, ხ.ა.ლ. და

ხ.ი.ლ. წაიყვანეს ალიკანტეში და მოქლეს. მოწმე ლ.ს.-ს რაც შეეხება, მან განაცხადა რომ როდესაც ჰკითხა მეოთხე მოსარჩევეს თუ რა მოუვიდა ორ დაკავებულს, მან მიუგო « ისინი უკვე აქ აღარ არიან, მეტი კითხვა აღარ დასვა! ». საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწმეთა ეს ჩვენებები არ წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას, მაგრამ ისინი შევსებულია სხვა არსებული ჩვენებებითა და დეტალებით, რაც იძლევა მოსარჩევების დამნაშავეობის დამტკიცების საშუალებას, კერძოდ კი მკვლელობის დამტკიცებას. ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ Audiencia Nacional –მა და უზენაესმა სასამართლომ, ორივემ მიიჩნია რომ ამ მოწმეების სანდოობა აღემატებოდა მოსარჩევების მიერ მიცემულ ჩვენებებს დაპირისპირების შედეგად და რომ ამ დასკვნის საწინააღმდეგო არაფერი გააჩნია.

81. უშუალოდ, პირველი მოსარჩევეს მიერ ჩადენილ მკვლელობებთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალი რომ იმ მოსამართლეების მსჯელობა, რომლებმაც დაუდგინეს ეს დანაშაული, არ არის არც ალოგიკური და არც არასაკმარისად ზუსტი იქიდან გამომდინარე რომ, რა მომენტიდანაც Audiencia Nacional –მა გამოავლინა, 1) პირველი მოსარჩევე მკვლელების ჩამდენთა ზემდგომი იერარქიული პირი იყო, იგი იმყოფებოდა დაკავების ადგილზე პირველ დამეს, მან გააკონტროლა და ბოლოს გაანადგურა დაკითხვის ოქმები; 2) იგი შეამავლობდა ზემდგომ ხელისუფლებას, რომელიც ბრძანებებს გასცემდა და ქვემდგომებს შორის რომლებმაც ესე ბრძანებები შეასრულეს; და 3) ეს დეტალები გამყარებული იყო თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი საინფორმაციო ცენტრის დოკუმენტებით, რომლებსაც მტკიცებულების დირექტულება გააჩნია.

82. საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხმა მოსამართლემ განსხვავებული აზრი გამოთქვა უდანაშაულობის პრეზუმეციასთნ დაკავშირებით. მათ მხარი დაუჭირეს მოსარჩევეებისათვის Amparo-ს ნაწილობრივ შეფარდებას მსხვერპლთა უკანონოდ დაკავებისა და მკვლელობის გამო და ჩათვალეს რომ ისინი დაისაჯნენ ბრალდების მტკიცებულებების გარეშე, განსაკუთრებით პირველი მოსარჩევე, რომელთან მიმართებაში თვლიან რომ მტკიცებულების არ არსებობა კიდევ უფრო აშკარა იყო. ამ მოსამართლეებმა ასევე ეჭვი გამოთქვეს მოწმის ჩვენებაზე მოსმენილის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, ერთერთმა ბრალდებულმა, მეორე მოსარჩევემ მას საგარაულოდ უთხრა; აქედან გამომდინარე საქმის არსებითი მხარის განმხილველმა მოსამართლეებმა იგულისხმეს მეოთხე და მეხუთე მოსარჩევეები განმათავისუფლებელი ანტიტერორისტული ჯგუფის ქმედებებში ETA-ს წინააღმდეგ და ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.სს უკანანოდ დაპატიმრების დაგეგმვაში საფრანგეთში. მათი აზრით, ამგვარი მტკიცებულება არ შეიძლება მხედველობაში იყოს მიღებული მსხვერპლთა უკანონოდ დაკავების ფაქტის დასადგენად, როგორც ეს Audiencia Nacional-მა გააკეთა თავის განხინებაში, განსაკუთრებით მეოთხე და მეხუთე მოსარჩევეების მონაწილეობასთან დაკავშირებით დაგეგმვასა და აღსრულებაში, და რომ მოწმე ლ.ს.-ს ჩვენებასაც არ შეუძლია მეოთხე და მეხუთე მოსარჩევეების უდანაშაულობის პრეზუმეციაზე ზეგავლენის მოხდენა. დასამტკიცებელია, რომ მათ გადაწყვიტეს ანტიტერორისტულ ბრძოლაში მონაწილეობა, რაც გამოიხატა უკანონო დაკავებით, რომელსაც მოჰყვა მკვლელობა, რომ მათ შესთავაზეს დანარჩენ სამ მოსარჩევეს ამ ოპერაციაში მონაწილეობის მიღება, ასევე დასამტკიცებელია გასცა თუ არა მეოთხე მოსარჩევემ ბრძანება უცხო პირებზე ხ.ა.ლ.-სა და ხ.ი.ს-ს უკანონოდ დაკავებაზე.

83. მესამე მოსარჩელეს მიერ, გამოძიების პროცესეში, დახურულ კარს მიღმა მიცემულ ჩვენებებს რაც შეეხება, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლებმა აღნიშნეს რომ დაპირისპირება არ ყოფილა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ეს ჩვენებები გამორებულ იქნა ზეპირი განხილვების დროს, რომელიც საპირისპირო იყო. ამის მიუხედავად და ამგავრი ჩვენებების კონსტიტუციური დირებულებისა და სანდოობის დამოუკიდებლად როგორადაც ეს ჩვენებები ცნო Audiencia Nacional-მა, ეს მოსამართლები აპროტესტებენ საფრანგეთში უკანონო დაკავების პირდაპირი მტკიცებულების ფორმას, იმდენად რამდენადაც ეს მტკიცებულებები უარყოფს სამოქალაქო გვარდიის მონაწილეობას. ამ ქმედებაში, იმავე მოსარჩელეს მიერ გადაცემული კასეტით, ბრალი ედებათ პოლიტიკოსებსა და დაქირავებულ პირებს, რაც მათი აზრით არ იძლეოდა მეოთხე მოსარჩელეს, სამოქალაქო გვარდიის კომენდანტისა და მეუთხე მოსარჩელეს, გუიპუსკოა-ს სამოქალაქო გუბერნატორის დადანაშაულების საშუალებას უკანონო დაპატიმრების დაგეგმვისათვის. ფაქტის ჩადენის მომენტში, ეს უკნასაკნელი დასახელებულიც კი არ ყოფილა ჩვენებებში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მესამე მოსარჩელემ უარყო თავისი მონაწილეობა ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს.-ის « საფრანგეთში უკანონოდ დაკავებაზე, მათ ალიკანტეში გადმოყვანაში, წამებასა და მკვლელობაში ».

84. მკვლელობისათვის დასჯას რაც შეეხება, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლებმა ჩათვალეს, რომ « კონსტიტუციურად მიუღებელია ჯგუფის კველა წევრის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ იმიტომ რომ ამ ჯგუფის წვერები იყვნენ, რამაც განხე გასწია ამ ჯგუფის თითოეული ზემოსენებული წევრის ქმედებათა ინდივიდუალიზაციის დელიკატური პროცესი ». მათი აზრით, იმათი ვინაობის დაღვენა, რომლებმაც მკვლელობაზე გასცეს ბრძანება და სავარაუდოა რომ ისინი იგივე პირები არიან რომლებმაც დაკავების ბრძანება გასცეს, შეცვალა უბრალო მითითებამ იმ პირებზე, რომლებსაც შეეძლოთ ბრძანების გაცემა ამგვარ ქმედებებზე, რაშიც საქმის განმხილველი მოსამართლეები იყვნენ დარწმუნებულნი, მაგრამ არ წარმოადენს დირებულ არგუმენტს, რომელიც დაეყრდნობოდა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მსჯელობას.

85. განსხვავებული აზრის მიხედვით, « დაკავებასა და გვამების აღმოჩენას შორის კაშირის გაწყვეტა, დროისა და სივრცის თვალსაზრისით, ისევე როგორც გაუკვევლობა დანაშაულის ჩამდენთა მიმართებაში, განსაკუთრებით კი დანაშაულის ჩადენის საწყის ფაზაში, რაც მოცემულ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია, აბრკოლებდა, მხოლოდ La Cumbre-ს სასახლეში დაკავების ფაქტით, amparos-ს მთხოვნელებს, ყოველგვარი კამათის გარეშე, დაბრალებოდათ ოპერაციის სრული კონტროლი და ხელმძღვანელობის ისეთი ქმედება რომლის საფუძველზეც მათ მიერერებოდათ მკვლელობის ჩადენა ».

II. შიდა სამართალი

86. საკონსტიტუციო დებულებები ასეთი ტიპის გარემოებებთან მიმართებაში შემდეგია :

მუხლი 10 §2

« კონსტიტუციით აღიარებული ძირეული უფლებანი და თავისუფლებანი ინტრარეტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეპლარაციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, რომლებსაც ამ სფეროში ხელი მოაწერა ესპანეთმა. »

მუხლი 24

« 1. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს ისარგებლოს მოსამართლებისა და სასამართლოების ეფექტური დაცვით, რათა განახორციელოს თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, ისე რომ ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლოს თავის დაცვა.

2. ასევე, თითოეულ ადამიანს უფლება აქვს გასამართლდეს წინასწარ კანონით განსაზღვრული სამართლების ნორმების საფუძველზე, მოსამართლის მიერ, დაცულ იქნას და დახმარება გაუწიოს ადგომატმა, ინფორმირებული იყოს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაზე, გასამართლდეს საჯარო პროცესზე მიზანშეწონილ ვადებში და ყველა გარანტიის დაცვით, გამოიყენოს მტკიცებულებათა საშუალებანი თავის დახაცავდ, არ დაანაშაულოს საკუთარი თავი, არ აღიაროს საკუთარი დამნაშაულობა და სარგებლობდეს უდანაშაულობის პრეზუმეციით.

(. . .)

87. სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის დებულებანი შემდეგია :

მუხლი 301

« საგამოძიებო მოქმედებანი საიდუმლოა ზეპირი ფაზის გახსნამდე, კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა.

(. . .)

მუხლი 302

« [პროცედურაში] მონაწილე მხარეებს შეუძლიათ გაეცვნენ საქმის მასალებს და მონაწილეობა მიიღონ პროცედურის ყველა ეტაპზე.

თუმცა, თუ საქმე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს, გამომმიებელს, პროკურატურის ან ერთეული მხარის წინადაღებით ან ვალდებულებით, შეუძლია გამოძიება სრულიად ან ნაწილობრივ საიდუმლოდ გამოაცხადოს ყველა მხარისათვის, დასაბუთებული მოტივით, ხანგრძლივობა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ამ შემთხვევაში, საიდუმლო ხასიათი მხარეებთან მიმართებაშუ წყდება გამოძიების დახურვამდე ათი დღით ადრე. »

მუხლი 714

« როდესაც მოწმის ჩვენება სასამართლო სხდომაზე არსებითად განსხვავდება გამოძიების დროს მიცემული ჩვენებისაგან, მისი წაკითხვა შეიძლება გამოითხოვონ მხარეებმა. წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარე მოწმეს სთხოვს განმარტების გაკეთებას მის მიერ მიცემულ ჩვენებებში არსებულ სხვაობასა და საწინააღმდეგო აზრზე ».

მუხლი 730

« შეიძლება წაკითხულ იქნას [სასამართლო სხდომაზე], მხარეების მოთხოვნით, გამოძიების დროს განხორციელებული იმ ქმედებების ოქმები, რომელთა წარმოდგენაც არ შეიძლება, [მხარეთა] ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ».

სამართლებრივი მხარე

პონანციის 6-ე მუხლის §§ 1, 2, 3 პ) და დ) პუნქტების დარღვევაზე

88. მოსარჩელები თავს თვლიან უდანაშაულობის პრეზუმაციისა და დაცვის უფლებების დარღვევის მსხვერპლად.

89. პირველი სამი მოსარჩელე, განსაკუთრებით, ჩივის იმის თაობაზე რომ გამომდიებელმა ყოველგავრი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადა შეთავაზებული მტკიცებულებების მიღებაზე. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ თავად მათივე ადვოკატი დაიკითხა სადაცო პროცესის დროს, რამაც იგი იძულებული გახსადა დაცულიყო სხვა ადვოკატის მიერ, მაშინ როდესაც იგი უზრუნველყოფდა მოსარჩელეების დაცვას.

90. პირველი მოსარჩელე მიიჩნევს, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ დაისაჯა მესამე მოსარჩელეს მიერ, დახურულ კარს მიღმა გამომიების პროცესში გაკეთებული განცხადებების გამო, რომელიც შემდგომში თავადვე უარყო.

91. მეოთხე მოსარჩელე კი ირწმუნება რომ დაისაჯა მისი დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არ არსებობის მიუხედავად. განხილული ჩვენებების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, მისი აზრით, არ შეესაბამებოდა მსჯელობის ლოგიკის პირობებს, როგორც ამას სამართალწარმოება ითხოვს. ის ჩივის, რომ ზოგოვრთი გამამართლებელი მტკიცებულება, რომელიც წარადგინა მიუღებლად ჩაითვალა. იგი აპროტესტებს, გამომიების საიდუმლო ეტაპზე, მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემულ ჩვენებებს დაპირისპირების გარეშე, ისე რომ არ ესწრებოდნენ მის მიერ ბრალდებული პირები და მათი ადვოკატები ; იგი ასევე ჩივის ამ უკანასკნელზე (მესამე მოსარჩელე) მოსამართლის მხრიდან განხორციელებული ზეწლის გამო, რათა ჩვენება მიედო, მაშინ როდესაც იგი იმყოფებოდა ფსიქიატრულ სავადმყოფოში და სასამართლო სხდომაზე კი უარყო მიცემული ჩვენება.

92. მეხუთე მოსარჩელე ჩივის რომ (ნებაყოფლობით) მისცა ჩვენება გამომდიებელს, ადვოკატის დაუსწრებლად და 9 თვის შემდეგ (თავისი ადვოკატის თანდასწრებით) მოხდა მისი დაპირისპირება ბრალდების ერთ მოწმესთან, მაშინ როდესაც იგი მანამდე არ მოისაზრებოდა ეჭვმიტანილად. პროცედურის ეს ფორმა ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპს, მას დააკარგვინა დრო და ყველა აუცილებელი საშუალება დაცვის მოსამზადებლად, ისევე როგორც დუმილის უფლება და საკუთარი თავის დამნაშავედ არ ცნობა. ის აღნიშნავს რომ მოსამართლები, უმთავრესად, დაეყრდნენ გამომიების პროცესში მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემულ ჩვენებებს და მიაჩნია რომ, დახურულ კარს მიღმა გაკეთებული ეს ჩვენებები მიღებულ იქნა დაპირისპირების პრინციპის დარღვევით. იგი თვლის რომ ამ ჩვენებებს არანაირი ღირებულება არ გააჩნია ; მათი ავტორს, რომელმაც შემდეგ შეცვალა ჩვენება, ერთადერთი მიზანი პქონდა მიეღო გარკვეული პენიტენციალური შედაგათები. მისი აზრით, სასამართლო სხდომაზე ამ ჩვენებების უბრალოდ წაკითხვა და ადვოკატების დასწრების ფაქტი მოწმეებთან შეპირისპირების დროს, კითხვების დასმის შესაძლებლობის გარეშე, ვერ ამოავსებს ამ ხარვეზებს.

93. დებულებები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით :

მუხლი 6

« 1. თითოეულ ადამიანს უფლება ააქვს რომ მისი საქმე განხილულ იქნას სამართლიანად (. . .) სასამართლოს მიერ რომელიც გადაწყვეტს (. . .) მის წინააღმდეგ (. . .) მიმართულ ყველა სახის ბრალდების საფუძვლიანობას სისხლის სამართლის სფეროში.

2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. კერძოდ კი, ყველა ბრალდებულს უფლება ააქვს :

(. . .)

ბ) პქონდეს საქმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საქმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში; (. . .) »

ა) მხარეთა მოსაზრებები

1. მთავრობა

ა) გამოძიების საიდუმლოება

94. მთავრობა შეახსენებს რომ საჯაროობის პრინციპი არ გამოიყენება პროცედურის ყველა ფაზაში, არამედ მხოლოდ სასამართლო სხდომისა და განაჩენის გამოტანის დროს. ამიტომ, უზენაესმა სასამართლომ თავის განჩინებაში ჩათვალა რომ გამოძიების დროებითი საიდუმლო ხასიათი გამართლებული იყო გამოძიების ფაქტებიდან, დანაშაულში გარეული პირებიდან და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მათ რეალური შესაძლებლობანი გააჩნდათ დაებრკოლებინათ გამოძიება.

95. მთავრობა შეახსენებს, რომ დახურულ კარს მიღმა, მესამე მოსარჩევეს მიერ მიცემული ჩვენებანი არ არის ბრალდების ერთადერთი ჩვენება და ამ თვალსაზრისით იშველიებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით ამ პიროვნებამ მრავალგზის მისცა ჩვენება, აქედან საბრალდებო ჩვენებები 1997 წლის 12, 19 21 და 26 აგვისტოს, გამოძიების პროცესში ; ამ ჩვენებების ერთი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით, №1 ცენტრალური საგამოძიებოს გამომძიებელისა და პროკურორის თანდასწრებით მისცა, მეორე ნაწილი კი მისცა გამოძიებაზე საიდუმლოს მოხსნის შემდეგ მხარეების წინაშე, დაცვის ადვოკატების თანდასწრებით.

96. მთავრობა არგუმენტად იშველიებს მოსარჩელეების მიერ გაპროტესტებულ განაჩენებს ; მესამე მოსარჩევემ, ჩვენებების მიცემის დროს, ნათელი, კონკრეტული და ზუსტი ფორმით აღნიშნა რომ, იყო სამოქალაქო გვარდიის ერთერთი აგენტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს.-ს დაკითხვებში, როდესაც ეს უკანასკნელი იმყოფებოდნენ სან სებასიტიანოში, La Cumbre-ს სასახლეში, რომ ოპერაციას კოორდინირებას უწევდნენ და წარმართავდნენ მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეები, რომ მათ გასცეს ინსტრუქციები დაკითხვის შინაარსზე პირველი მოსარჩელეს შუამავლობით და რომ ამ უკანასკნელმა მიიღო დაკითხების ოქმი და სამოქალაქო გვარდიის აგენტებს მისი განადგურება უბრძანა. მთავრობა უშვებს, რომ მესამე მოსარჩელე შემდგომში დაუბრუნდა თავის ჩვენებებს წერილობითი ფორმით საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს წინაშე, ისევე როგორც სასამართლო სხდომაზე და გადაწყვიტა გამოეყენებინა დუმილის უფლება პროკურორისა და ბრალდების მხარეების მიერ დასმული კითხვებისას, მაგრამ

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი 1997 წლის ჩვენება წაკითხულ იქნა სასამართლო სხდომაზე და რომ თავად მესამე მოსარჩელები სთხოვა გამომძიებელს ჩვენების მიცემა დახურულ კარს მიღმა (იხ. ზემოთ §23) ; და ბოლოს, მესამე მოსარჩელეს სამედიცინო დოსიერ რაც შეეხება, მთავრობა თვლის, რომ Audiencia Nacional-მა მხედველობაში მიიღო მისი ფსიქიკური დარღვევები სანამ მისი ჩვენების სანდოობას დასკვნიდა, მისი ჩვენებების აღეკვატური ხასიათიდან გამომდინარე.

97. მოსამართლემ, როგორც კი საიდუმლოება მოიხსნა, გადაწყვიტა მესამე მოსარჩელესთან დაპირისპირებების მოწყობა, რაზეც უარი განაცხადეს სხვა მოსარჩელეებმა (1997 წლის 18 სექტემბერი, 24 და 29 ოქტომბერი, 1997 წლის 18 ნოემბერი და 1998 წლის 12 მარტი). მთავრობა ასევე აცხადებს, რომ მოსამართლემ მოაწყო La Cumbres-ს სასახლის ინსპექცია მოსარჩელეთა ადვოკატების თანდასწრებით და 1998 წლის 31 მარტს, მესამე მოსარჩელეს წინასწარ ჩვენებაზე თავისი დანაშაულის დამძიმებასთან დაკავშირებით, როდესაც კიდევ იყო დაპირისპირების შესაძლებლობა, გამოყენებულ არ იქნა მოსარჩელეების მიერ. ამრიგად, მოსარჩელეთა ადვოკატებმა არ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, არა მხოლოდ ზეპირ ფაზაში, ასევე გამოძიების დროს, დაეკითხათ მესამე მოსარჩელე დაპირისპირების გზით და შეწინააღმდეგებოდნენ მის ჩვენებებს.

98. მთავრობისათვის, ბრალდების მოწმეების დაკითხვისა თუ დაკითხვინების უფლება და დაპირისპირების პრინციპი სავსებით დაცული იყო როგორც გამოძიების, ისე პროცესის დროს.

ბ) შეფასებები ბრალდების მტკიცებულებებსა და მათ საკმარისობაზე

99. მთავრობა მიიჩნევს, რომ მესამე მოსარჩელეს საბრალდებო ჩვენება არ შეუცვლია არც პროცესის დაწყებამდე და არც მისი მიმდინარეობისას. მიუხედავად ამისა, იგი აღნიშნავს რომ უკროსასამართლომ მრავალგზის განაცხადა რომ, თუ »პრინციპში, მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს ბრალდებულს, საჯარო პროცესზე ან დაპირისპირების გზით, ეს ხელს არ უშლის გამოძიების პერიოდში გაკეთებული ჩვენების განხილვას, იმ პირობით რომ დაცული იქნას ბრალდებულის დაცვის უფლებები (Kostovski c. Pays-Bas, 1989 წლის 20 ნოემბერი, série A n.166 ; Lüdi c. Suisse, 1992 წლის 15 ივნისი, série A n.238 ; Van Mechelen et autres c. Pays-Bas, 1997 წლის 23 აპრილი, 1997 -III დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების კრებული), და რომ პროცესზე, დაპირისპირების საბოლო შესაძლებლობა საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს დაპირისპირების პრინციპი და გამოასწოროს გამოძიების დროს დაშვებული ყველა შესაძლო ხარვეზი. მოცემულ საქმეში, მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებები, გამოძიების პროცესში მოსამართლისა და მისი ადვოკატის თანდასწრებით, როგორც კი განმეორდა სხვა მოსარჩელეების წინაშე და მათი ადვოკატების თანდასწრებით, ხელახლა იქნა განმეორებული სასამართლო პროცესზე კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით. მესამე მოსარჩელეს დაკითხვა პროცესზე მიმდინარეობდა დაპირისპირების მეთოდით და საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმაციის მოსახლესხელად. მთავრობის აზრით, მესამე მოსარჩელეს შეეძლო განემარტა მის მიერ მიცემული ჩვენებების განსხვავებულობის მიზეზი, მაგრამ მან უარი განაცხადა ეპასუხა პროკურატურისა და ბრალდების მხარეების მიერ დასმულ შეკითხვებზე. ამ კუთხით, მთავრობა შენიშნავს რომ, დაცვის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას მისი ერთეული ჩვენების შესახებ, მოსარჩელემ მიზეზად მათი საიდუმლო ხასიათი დაასახელა, მაშინ

როცა თავად მოინდომა საიდუმლოდ ჩვენების მიცემა. მისი აზრით, საქმის არსებითი მხარის განმხილველ მოსამართლეებს არაფერი არ უშლიდა ხელს უფრო მეტი ნდობა გამოეცხადებინა მოსარჩელეს მიერ, გამოძიების დროს, დახურულ კარს მიღმა მიცემულ ჩვენებებისათვის, ვიდრე მათი უარყოფისათვის და რომ მოსამართლეებმა, სხვათა შორის, კორექტულად დასაბუთეს მიღებული გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, 1997 წლის აგვისტოში, დახურულ კარს მიღმა გაკეთებული განცხადებები არ იყო დანაშაულის დამატებიცემელი ერთადერთი საშუალება, მესამე მოსარჩელემ იგივე ბრალდებები გაიმეორა გამოძიების საიდუმლო ფაზის დასრულების შემდეგ და სხვა მოსარჩელეების ადვოკატების თანდასწრებით.

100. მთავრობა ასევე მიუთითებს, რომ შიდა სასამართლო ორგანოებმა მხედველობაში მიღეს სხვა დეტალები და მტკიცებულებები. ის მიიჩნევს რომ მტკიცებულებები, რომლებიც ეხება უკანონო დაკავებას და მოსარჩელეთა პასუხისმგებლობას ამ თვალსაზრისით, კორექტულად იყო შეფასებული ეროვნული სასამართლების მიერ და ხაზგასმით აღნიშნავს რომ უმაღლესმა სასამართლო ორგანოებმა მრავალჯერ დაადასტურეს და გაამართლეს საქმის არსებითი მხარის განმხილველი მოსამართლეების სამართლიანობა.

101. მთავრობას არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ მსჯელობა, რომლის საფუძველზეც საქმის არსებითად განმხილველმა სასამართლო ორგანომ დასაჯა მოსარჩელეები მკვლელობისათვის, დაადასტურეს უმაღლესმა სასამართლო ორგანოებმა. მისი აზრით, გამოძიების გახსნის შემდეგ, გვამების აღმოჩენისას და იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ მოსარჩელეების პასუხისმგებლობა უკანონო დაპატიმრობაზე დადგენილი იყო, ლოგიკურად დაისკვნა რომ უკანონო დაკავების ავტორები მკვლელობის ავტორებიც იყენებ ; ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს.-ს მოკვლის გადაწყვეტილება მხოლოდ იმათ შეეძლოთ, რომლებმაც მათი დაკავება გადაწყვიტეს. როგორც აღნიშნა თავის განჩინებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ, მთავრობა, სხვათაშორის, შენიშნავს რომ მეოთხე და მეხუთე მოსარჩელეები, თავიაანთი თანამდებობებიდან გამომდინარე აკონტროლებდნენ სიტუაციას და სავსებით შესაძლებელი იყო რომ მათ განკარგულებაში ყოფილიყო დაკავებულების სიცოცხლე, რომლებიც შედგომში მოკლეს კიდეც ; და მათ არანაირი განმარტება არ მიუციათ თუ რატომ არ გაათავისუფლეს ისინი ან რა მოხდა მათ დაკავებასა და სიკვდილს შორის. რაც შეეხება მეორე და მესამე მოსარჩელეებს, მთავრობა ასევე უბრუნდება დაცული მოწმის ჩვენებებს, რომელსაც მეორე მოსარჩელემ გაუმხილა რომ თავად და მესამე მოსარჩელე მოქმედებდნენ მეოთხე მოსარჩელეს ბრძანებით, წილივანეს ხ.ა.ლ. და ხ. ი.ს. ალიკანტეში და გამოსალმეს სიცოცხლეს. რაც შეეხება პირველ მოსარჩელეს, მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს რომ იგი იყო მეორე და მესამე მოსარჩელეების, მკვლელობის ჩამდენების იერარქიულად ზემდგომი პირი და იგი დამაკავშირებელი რგოლი იყო განკარგულებების მიმცემ თანამდებობის პირებსა და მათზე დაქვემდებარებულ, განკარგულებების შემსრულებელ პირებს შორის.

102. ყოველიგე ზემოხსენებულის საფუძველზე, მთავრობა ასკვნის რომ კონვენცია არანაირად არ დარღვეულა.

2. მოსარჩევლები

ა) პირველი სამი მოსარჩელი

103. პირველი სამი მოსარჩელი მიიჩნევს, რომ მხარეების მიმართ გამოძიების საიდუმლო გაგრძელდა უკიდურესად დიდხანს, უსაფუძვლოდ და უსარგებლოდ და რომ საიდუმლოება შენარჩუნებული იყო დაცვის ადვოკატებისათვის ხელის შეშლის მიზნით, ბრალდების მოწმეების დაკითხვის დროს. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ვერ შეძლეს დაეკითხათ მთავარი ბრალდების მოწმეები და ამტკიცებენ რომ როდესაც გამოთხოვილ იქნა დაპირისპირებითი ჩვენება, მოსამართლემ უარი განაცხადა. ისინი ჩივიან, რომ მათ მიერ წარდგენილი 39 მოწმე არა დამაჯერებელად იქნა მიჩნეული და 14 წარდგენილი დოკუმენტიდან, 6 მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე არ დაგმაყოფილდა. ყოველივე ამან კი მნიშვნელოვნად შეამცირა დაცვის შესაძლებლობები.

104. რაც შეეხება საბრალდებო მტკიცებულებების საკმარისობას, სამი პირველი მოსარჩელე და განსაკუთრებით კი პირველი ორი მოსარჩელე შენიშნავს, რომ მათი დასჯა ეყრდნობა მოწმის ჩვენებებს მოსმენილის თაობაზე, არაპირდაპირ ჩვენებებს, რომელიც ერთმანეთს ამჟარებს და ეს ყველაფერი ეყრდნობა მხოლოდ ერთი პირდაპირი მოწმის, მესამე მოსარჩელეს განცხადებებს. ამ განცხადებების გარეშე, მტკიცებულებათა დანარჩენი ნაწილი თავისთავად საკმარისი ვერ იქნებოდა უდანაშაულობის პრეზუმაციის მოსახსნელად.

105. რაც შეეხება მესამე მოსარჩელეს განცხადებებს, ერთადერთი საბრალდებო მტკიცებულებაა, რომელსაც ეფუძნება მსჯელობის ყველა სხვა ელემენტი და გამოტანილ იქნა სასჯელი. პირველი ორი მოსარჩელე აცხადებს, რომ თავდაპირველად, მესამე მოსარჩელემ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე და შემოიფარგლა საკუთარი თავისა და თანაბრალდებულების დანაშაულობაზე განცხადების გაკეთებით. დროებით პატიმრობაში ერთ წელზე მეტი სის გატარების შემდეგ რთულ და პრობლემატურ პირობებში, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ, მან გადაწყვიტა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, დაუბრუნდა პირველად მიცემულ ჩვენებებს, გამოძიების საიდუმლოდ მიმდინარეობის დროს, რათა ბრალი დაედო სხვებისათვის და მინიმალურ დონეზე დაეჭვანა საკუთარი დამნაშავეობა და მაქსიმალურ დონეზე აეჭვანა თანაბრალდებულების დამნაშავეობა. პირველი სამი მოსარჩელეს ადვოკატი აცხადებს, რომ მესამე მოსარჩელეს მიერ (მაშინ მას სხვა ადვოკატი წარმოადგენდა. იხ. ზემოთ §26) 1997 წლის 12, 19, 21 და 26 აგვისტოს მიცემული ჩვენებების შესახებ პრესიდან შეიტყო. ეს ჩვენებები მიღებულ იქნა მესამე მოსარჩელესათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და მისი ფსიქიკური დარღვევების მხედველობაში მიღების გარეშე. ამ თვალსაზრისით, მოსარჩელეები, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გამოძიების ბოლოს, მესამე მოსარჩელე, რომელიც გათავისუფლდა საგამოძიებო ცენტრის გამომძიებლის ზეწოლისაგან, წერილობითი ფორმით ხელახლა დაუბრუნდა პირველად გაკეთებულ განცხადებას, განმარტა დახურულ კარს მიღმა ჩვენების მიცემის მიზეზი და განაცხადა საკუთარი თავისა და თანაბრალდებულების უდანაშაულობა. მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ პროცესზე იგი დამაწყნარებელი საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მოვიდა და არ იმყოფებოდა საბრალდებო ჩვენების წაკითხვის მომენტში ; ისინი ასევე აცხადებენ რომ იგი თავის პოზიციას ინარჩუნებდა საქმის ზეპირი მოსმენის დროს, სადაც მას არ დაუდასტურებია საბრალდებო განცხადებები, რომლებიც დახურულ კარს მიღმა

გააკეთა და ისინი მხოლოდ წაკითხულ იქნა, მაგრამ უარი განაცხადა აზრის გამოხატვაზე და გააგრძელა თავისი და თანბრალდებულების უდანაშაულობის მტკიცება.

106. ისინი აცნობიერებენ საქმისი არსებითი მხარის განმხილველი მოსამართლეების არჩევანს საკუთარი კრიტერიუმებით, გამოძიებისა და ზეპირი მოსმენის დროს, მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებების შეფასებისას, მაგრამ ისინი თვლიან რომ აუცილებელია რომ გამოძიების დროს გაკეთებული განცხადება ასევე გაპეტდეს დაპირისპირების პრინციპის მიხედვით, რომ სხვა მოსარჩელეების დაცვას შესაძლებლობა ჰქონდეს გამოვიდეს იმ მოსარჩელეზე ზეწოლის გარეშე, რომელმაც სხვები დაანაშაულა.

107. ეს პირობა სურდა ყველა მოსარჩელეს და განსაკუთრებით პირველ მოსარჩელეს, რომელსაც ბრალი დაედო მხოლოდ გამოძიების დროს, დახურულ კარს მიღმა, მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებით. მოსარჩელეები მიიჩნევენ რომ როგორც კი ადარ მოხდება სექნებული ბრალისშემცველი ჩვენების აღიარება, დაიშლება მსჯელობის მთელი სისტემა რის საფუძველზეც სასჯელი იქნა გამოტანილი.

108. ისინი შეახსენებენ, რომ ესპანურ სამართალში, ბრალდებულები, როდესაც ისინი წარსდგებიან გამომძიებლის წინაშე და იძლევიან ჩვენებებს, ვალდებული არ არიან თქვან სიმართლე, დადონ ფიცი, არ იძლევიან არავითარ დაპირებას და არ იყოფებიან ყალბი ჩვენებების მიცემის გამო, დასჯის მუქარის ქვეშ. მოცემულ საქმეში, პირველი ორი მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებები საიდულოების გრიფით, სხვათაშორის წარმოადგნს გარკვეულ განსაკუთრებულობას : პირველი არის ის, რომ მას ნება დაერთო უფრო შედავათიან ჰენიტენციალურ მოპყრობაზე, მოხდა მისი გადაყვანა სხვა ჰენიტენციალურ ცენტრში. მეორე, მიეცა გასვლის და კონტაქტის უფლება ოჯახის წევრებთან, სხვა შედავათებთან ერთად ; აქ საქმე ეხებოდა მისოვის ბრალის მომსხნელ ჩვენებას მისივე ავტორთან მიმართებაში, რომელმაც თავისი მონაწილეობა მინიმუმადე დაიყვანა ; მესამე, ეს ჩვენება მისცა მძიმე ფსიქიკური პათოლოგიით შეპყრობილმა პიროვნებამ, რომელმაც მრავალჯერ სცადა თავის მოკვლა პროცედურის დროს და რომელიც ყოველივე ამის მიუხედავად დაკავეული იყო ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამას გარდა, პირველი ორი მოსარჩელე ამტკიცებს რომ 1997 წლის აგვისტოს საბრალდებო განცხადებების გაკეთებამდე, მესამე მოსარჩელე ექიმს არ გაუსინჯავს.

109. პირველი სამი მოსარჩელე ასკვნის რომ არანორმალური გარემოებების ასეთი ერთობლიობით მესამე მოსარჩელეს ჩვენების გარშემო, შეუძლებელია გამოტანილ განაჩენს სამართლიანი საფუძველი ჰქონოდა.

ბ) მეოთხე მოსარჩელე

110. მეოთხე მოსარჩელე ირწმუნება რომ ბრალდების მომსხნელი მტკიცებულებების დიდი ნაწილი მიღებულ არ იქნა და ამგვარად, დაცვის შესაძლებლობები სერიოზულად შემცირდა, დახურულ კარს მიღმა, გამოძიების დროს, მესამე მოსარჩელეს მიერ ჩვენებები გამომძიებლის ზეწოლის ქვეშ იყო მიცემული, რომელიც მას ჰენიტენციალურ შედავათებს დაპირდა ; პროცესზე კი უარყო ეს ჩვენებანი. იგი

ასევე აღნიშნავს რომ ბრალდებულები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული ჩვენებების საპირისპირო ეთქვათ, და მთავრობის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ბრალდების მხარის მიერ შეთავაზებულ შეპირისპირების არასდროს პქონია აღიდი, იქიდან გამომდინარე რომ მან ვერ შეძლო მესამე მოსარჩელესათვის კითხვების დასმა. იგი იშველიებს, საკონსტიტუციო სასამართლოს განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების მსჯელობას ერთის მხრივ, დაცული მოწმის ჩვენებებთან მიმართებაში, რომელსაც საგარაულოდ ფული გადაუხადეს ჩვენების მისაცემად და მეორეს მხრივ, მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით, რომელშიც ის ამტკიცებს რომ ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს-ს საფრანგეთში აყვანაში, მათ ალიკანტეში გადაყვანასა და მათზე განხორციელებულ წამებაში თუ მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია. ის უარყოფდა არამხოლოდ საკუთარ მონაწილეობას, არამედ სამოქალაქო გვარდიის მონაწილეობასაც. ამგვარად, მეოთხე მოსარჩელე ასკვნის რომ არანაირი მტკიცებულება არ აჩვენებს მის დამნაშავეობას.

111. მეოთხე მოსარჩელემ განაცხადა რომ მესამე მოსარჩელეს მიერ გაპეტებული განცხადებები მას არ ეხებოდა და სწორედ ამ მიზეზის გამო არ დაკითხა. ის ასევე ირწმუნება რომ რეალურად, არასოდეს მისცემია შესაძლებლობა გაეპროტესტებინა მესამე მოსარჩელეს საბრალდებო ჩვენება. იგი არ დაუპირისპირებიათ მესამე მოსარჩელესთან, ვინაიდან არც მოსამარლეს, არც ბრალმდებელ მხარეებს, არც დაცვის ადვოკატებს და არც მესამე მოსარჩელეს არ უფიქრიათ ასეთი დაპირისპირების აუცილებლობაზე. მეოთხე მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მესამე მოსარჩელეს განცხადებებს გაეცნო გაზეთში «El Mundo» და ეს მაშინ, როდესაც ეს ჩვენებები საიდუმლოდ დაცვას ეჭვემდებარებოდა.

112. ის მიიჩნევს, რომ მესამე მოსარჩელემ, ავადმყოფმა თქვა ის, რისიც გაგონებაც გამოძიებელს სურდა. იგი ამტკიცებს, რომ მოსარჩელეს ჩვენებაზე ხელი არ მოუწერია და წინასწარ გასინჯული არც ყოფილა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარების დასადგენად, მაშინ როდესაც იგი ფსიქიატრულ საავადმყოფოში იწვა. ამ კონტექსტში, მეოთხე მოსარჩელე მიუთითებს რომ დასჯის შესახებ გამოტანილი განაჩენი საერთოდ არ შეესაბამება ამ სიტუაციას და ჩივის რომ დაისაჯა ამ ჩვენების გამო, მაშინ როდესაც მესამე მოსარჩელეს მისთვის არასოდეს დაუდია ბრალი ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს-ს აყვნასა და მკვლელობაზე ბრძანების გაცემაში.

გ) მეხუთე მოსარჩელე

113. მეხუთე მოსარჩელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამოძიება საიდუმლოდ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიმდინარეობს და ისიც განსაზღვრული ვადით, ვინაიდან ეს ზომა წარმოადგენს დაცვის უფლების მკაცრად შეზღუდვას. თუმცა, გამოძიება საიდუმლოდ სრულად თუ ნაწილობრივ რამოდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდა. ის აღნიშნავს რომ გამოძიებას საიდუმლო გრიფი დაედო 1997 წლის 8 აგვისტოს, გამოძიების დაწყებიდან ორი წლის შემდეგ. ეს გადაწყვეტილება მხარეებს არ შეატყობინებს და აქედან გამომდინარე წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს. ის ამაგებს რომ, გამოძიების მსვლელობისას, შემდგომში წაყენებული იქნა მოთხოვნა ხელახლი მოსმენისათვის დაცვის ადვოკატების თანდასწრებით, მესამე მოსარჩელეს მეტი ჩვენებ ადარ მიუცია ამ სიტუაციაში, სადაც რეალური და ეფექტური შესაძლებლობა არსებობდა დაპირისპირებისა.

114. ის აზუსტებს, რომ მესამე მოსარჩელე დროებით პატიმრობაში იმყოფებოდა და ჰქონდა მძიმე ფსიქიკური პათოლოგია, კერძოდ კი ბიპოლარული დარღვევა დეპრესიული და პიკერთიმიის პერიოდების მონაცელებით, რომელსაც თან სდევდა ოვითმკვლელობისაკენ მიდრეკილება. როდესაც მას პირველი გადაწყვეტილება გადაეცა დამნაშავედ ცნობაზე, 1996 წლის მაისში (იხ. ზემოთ §18), მესამე მოსარჩელეს მძაფრი რეაქცია ჰქონდა და ამიტომ მოსამართლემ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. მესამე მოსარჩელეს სამედიცინო დახმარება აღმოჩენილი არ ჰქონდა, როდესაც საბრალდებო ჩვენებები მისცა.

115. იგი თვლის რომ, მთავრობის შენიშვნებში ჩამოთვლილი საპროცედური აქტები არ წარმოადგენს, როგორც თავად განმარტავს, იმ ზომებს რომლებიც შესაძლებელს ხდის საბრალდებო ჩვენებები დაპირისპირების პრინციპს დაუქვემდებაროს, ვინაიდან, გამოძიებაში, დაპირისპირება წარმოადგენს განსაკუთრებულ ზომას, რომელიც ითვალისწინებს ორი განსხვავებული ვერსიის დაპირისპირებას ფაქტებთან მიახლოებული და ზუსტი ვერსიის დასადგენად, ისე რომ ადვოკატებს შეეძლოთ კითხვების დასმა. იქ, სადაც ეს შეუძლებელი იქნება, მოხდეს პიროვნების ანუ დაპირისპირების ობიექტის დაკითხვა და სხვა მხარეები, სხვათაშორის, არ უნდა ესწრებოდნენ. თუმცადა, არანაირ დაპირისპირებას მესამე და მეხუთე მოსარჩელეს შორის, არ ჰქონია ადგილი.

116. არც, 1998 წლის 31 მარტს, დანაშაულში ეჭვმიტანილის მიერ გაკეთებული განცხადება არ იძლევა მოწმის ჩვენების უარყოფის შესაძლებლობას., ვინაიდან ამ განცხადებაში ოფიციალურად და პირადად ბრალი ედება მას, ვინც უკვე ბრალდებულად იყო გამოცხადებული, და მოსთხოვეს დათანხმებულიყო ან უკუგდო საბრალდებო გადაწყვეტილებაში მოცემული ფაქტები, მარამ ბრალდებულმა ვერ მოახერხა სხვა მხარეებისთვის შეკითხვების დასმა.

117. ის ხაზს უსვამს, რომ მესამე მოსარჩელეს მიერ 1997 წლის აგვისტოში გაკეთებული განცხადებები მხარეებისათვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 1997 წლის 9 სექტემბერს (იხ. ზემოთ §27), როდესად გამოძიებას მოეხსნა საიდუმლოს გრიფი. მესამე მოსარჩელეს 1997 წლის 24 ოქტომბერს პროცესზე წარდგენის შესახებ, რათა შესძლებოდა დამატებები შეეტანა აგვისტოს თვეში მიცემულ ჩვენებებში, მხარეებს არ ეუწყათ, მეხუთე მოსარჩელემ ვერ შესძლო დაპირისპირების პრინციპი გამოეყენებინა ამ ჩვენებებთან მიმართებაში.

118. მყარი საბრალდებო მტკიცებულების არ არსებობასა და უდანაშაულობის პრეზუმაციის დარღვევას რაც შეეხება, მეხუთე მოსარჩელე აცხადებს, რომ ბრალდების ძირითადი მტკიცებულება რომელზე დაყრდნობითაც გამოტანილი იქნა სასჯელი, ეფუძნებოდა მესამე მოსარჩელეს მიერ, გამოძიების დროს, საიდუმლოდ, მიცემულ ჩვევნებებს. ის თვლის, რომ ეს ხარვეზი ვერ გამოსწორდებოდა პროცესზე ამ სადაცო ჩვენებების წაკითხვით, მაშინ როდესაც მესამე მოსარჩელემ წერილობითი ფორმით და ზეპირი მოსმენისას უარყო აღნიშნული ჩვენებები და თქვა რომ ეს ყველაფერი გამოგონილი იყო პროცესზე თავისის სიტუაციის გასაუმჯობესებლად. მეხუთე მოსარჩელესათვის, ამ ჩვენებების გარდა, სხვა არანაირი მტკიცებულება არ განაპირობებს მის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს.

119. მეხუთე მოსარჩელე უარყოფს მთავრობის მოსაზრებას, რომლის მიხედვით ბრალდებულთა აღვოკატებმა შეძლეს მესამე მოსარჩელესაგან ახალი ჩვენების აღება

დაპირისპირების პრინციპის შესაბამისად. ის თვლის, რომ ასეთი მსჯელობით, მთავრობა დაცვას დაუშვევებილი ფორმით აკისრებს პასუხისმგებლობას გამოასწოროს ბრალდების მტკიცებულების საკონსტიტუციო ხარვეზები და ამგვარად, ვალდებულებას უხსნის ბრალდების მხარეებსა და მეტიც მოსამართლეს, რომელსაც ევალება ბრალდების მტკიცებულების კანონიერების შემოწმება.

120. ნებისმიერ შემთხვევაში, მეხუთე მოსარჩელე თვლის რომ, მხედველობაში რომც იღებდეს მესამე მოსარჩელეს მიერ საიდუმლოდ საბრალდებო ჩვენებების მიცემის შესაძლებლობას, მის წინააღმდეგ არსებული საბრალდებო მტკიცებულებები არასაკმარისია მკვლელობისა და უკანონოდ დაპატიმრებისათვის ასეთი სასჯელის გამოტანისათვის. ის ხაზს უსვამს რომ მესამე მოსარჩელეს რეალურად მისთვის არასოდეს დაუდია ბრალი მისი ნებისმიერი ფორმით მონაწილეობაზე ბატონების ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს.-ის აყვანასა და მკვლელობაში. მისი აზრით, განაჩენი მისი დასჯის თაობაზე ეყრდნობა მხოლოდ სუბიექტურ დეტალებსა და შეფასებებს, რომლებიც მოკლებულია ქოველგვარ ლოგიკურ და მატერიალურ საფუძველს.

121. ამ თვალსაზრისით, იგი აღნიშნავს რომ Audiencia National-ის მოსამართლეებმა დადგენილად ჩათვალეს მისი პასუხისმგებლობა ჩადენილი ორი მკვლელობისათვის, ვინაიდან ჩათვალეს, რომ იგი ასევე პასუხისმგებელი იყო უკანონო დაპატიმრებაზე, ისე რომ მხედველობაში არ მიღებულა ის ფაქტი, რომ ორივე ქმედება, ობიექტურად თუ მოხდა მსჯელობა, ერთმანეთთან მაინც და მაინც არ არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ « ბატონების ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს.-ის მკვლელობის გადაწყვეტილება მიღებულ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ იმ პირების მიერ, რომლებმაც მათ აყვანაზე გასცა ბრძანება ». მისთვის ამგვარ მსჯელობას არანაირი გამართლება არ ააქვს.

122. ის ასევე აღნიშნავს რომ ასევე დადგენილი არ არის, რომ ნამდვილად მან მიიღო ბატონების ხ.ა.ლ.-ისა და ხ.ი.ს.-ის აყვანაზე გადაწყვეტილება და ამ თვალსაზრისით არ არსებობს არანაირი პირდაპირი და საფუძვლიანი მტკიცებულება, რომელზეც ლირებული მსჯელობა აიგებოდა.

ბ) ევროსასამართლოს შეფასება

I. გამოყენებული ძირითადი პრინციპები

123. ევროსასამართლო შეახსენებს, რომ მე-6 მუხლის §3 მოთხოვნები წარმოადგენს სამართლიანი პროცესის უფლების განსაკუთრებულ ასპექტებს, რომლებიც გარანტირებულია 1-ლი პარაგრაფით და უდანაშაულობის პრეზუმაციას, რომელსაც ეძღვნება §2, წარმოადგენს, სხვა ელემენტებს შორის, სისხლის სამართლის სფეროში სამართლიანი პროცესის მცნებას (კერძოდ, იხ. Alellenet de Ribemont c. France, 1995 წლის 10 თებერვალი, §35, série A, N.308, Pullar c. Royaume-Uni, 1996 წლის 10 ივნისი, §45, კრებული 1996-III, და Foucher c. France, §30 1997 წლის 18 მარტი, კრებული 1997-II). მას მიზანშეწოდა მიაჩნია მოსარჩელეთა საჩივრების 1-ლი, 2-ე და 3-ე პარაგრაფების ნიშნით გაერთიანება (იხ. სხვა მრავალ გადწყვეტილებას შორის, Van Mechelen et autres c. Pays-Bas, იხ. §49).

124. ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ 6-ე მუხლის §1 თანახმად, მტკიცებულების ელემენტები საჯარო პროცესზე უნდა იყოს წარდგენილი ბრალდებულის წინაშე, სადაც გაიმართება მოსმენა დაპირისპირებითი მეთოდით. (Krasniki c. république tchèque, n. 51277/99, 2006 წლის 28 ოქტომბერი, §75). აქ ლაპარაკია მინიმალური პირობის დაკმაყოფილებაზე, როგორც ყველა იმ სხვა მოთხოვნაზე, რომელსაც მე-6 მუხლის §3 ითვალისწინებს ყველა ბრალდებულთან მიმართებაში ; მე-6 მუხლის §3 დებულებები, როგორც ასეთი, არ შეიძლება მოისაზრებოდეს როგორც მხედველობაში მისაღები ელემენტების უბრალო მაგალითები, რათა განისაზღვროს პროცესის სამართლიანობა (Barberà, Messegué et Jabardo c.Espagne, 1988 წლის 6 დეკემბერი, §§67 და 68; série A n.146, Kostovski c. Pays-Bas, იბ. ზემოთ §39). იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაკმაყოფილებულია მინიმალური მოთხოვნები, ევროსასამართლოს მოვალეობას არ წარმოადგენს გამოხატოს თავისი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მართებულია მოწმეთა ჩვენებების მტკიცებულებად მიღება, არამედ მას ევალება მთლიანობაში განიხილოს, მათ შორის, არის თუ არა სამართლიანი მტკიცებულებების წარდგენის ფორმა, (Van Mechelen et autres, §50, და Doorson c. Pays-Bas, 1996 წლის 26 მარტი, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კრებული §67 1996-II).

125. სწორედ ამ მიზეზით, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ განაჩენში, რომელიც მან გამოიტანა საქმეზე Unterpertinger c. Autriche (1986 წლის 24 ნოემბერი, série A, n.110), თავისთვად, ჩვენებების წაკითხვის დროს მათი ავტორების დასწრების გარეშე, შეუძლებელია შეთავსებულები ჩათვლილიყო კონვენციის 6-ე მუხლის §§1 და 3 დ) პუნქტის მიხედვით, მხოლოდ ერთი პირობის გარდა, თუ მისი როგორც მტკიცებულებად გამოყენება მოხდა დაცვის უფლებების დაცვით, რაც მე-6 მუხლის საგანსა და მიზანს შეადგენს. ეს პრინციპში გულისმხობს, რომ ბრალდებულს უნდა მიეცეს ადეკვატური და საკმარისი შესაძლებლობა გააპროტესტოს საბრალდებო მტკიცებულება, დაკითხოს მისი ავტორი ჩვენების მიცემის დროს ან მოგვიანებით.

126. საერთო წესით, მე-6 მუხლის §§1 და 3 დ) პუნქტი ბრალდებულს აძლევს ადეკვატურ და საკმარის საშუალებას გააპროტესტოს საბრალდებო ჩვენება, დაკითხოს მისი ავტორი ჩვენების მიცემის მომენტში ან მოგვიანებით (Van Mechelen et autres, §51 და იბ. ზემოხსენებული Lüdi c. Suisse, §49). როდესაც გამოტანილი სასჯელი ან განსაზღვრული ნაწილი ეფუძნება მხოლოდ მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებებს და როდესაც ბრალდებულს არც გამოძიების სტადიაში და არც პროცესზე, არ ააქს შესაძლებლობა დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ავტორი, განსაკუთრებით ამ დროს არის შეზღუდული დაცვის უფლებები, რაც ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის გარანტიებს (იბ. ზემოხსენებული Untertinger c. Autriche, §§31-33, Saidi c. France, 20/09/1993, §§43-44, série A n.261-C, Van Mechelen et autres, §55 და Lucà c. Italie n.33354/96, §40, CEDH 2001-II). ამ კონტექსტში, ის გარემოება რომ მხგავსი ჩვენებები მიეკუთვნება თანაბრალდებულს, როგორც მოცემულ საქმეში, და არა მოწმეს არ არის დამაჯერებელი. ამ თვალსაზრისით, ევროსასამართლო ხაზს უსვამს რომ ტერმინს « მოწმე » კონვენციის სისტემაში აქვს « ავტონომიურის » მნიშვნელობა (იბ. განაჩენი Vidal c. Belgique, 22/04/1992, §33, série A n.235-B). ამრიგად, ჩვენებამ, რომელსაც მისცემს პირდაპირი გაგებით მოწმე თუ თანაეჭვმიტნილი, არსებითად, შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს დასჯას; იგი წარმოადგენს საბრალდებო ჩვენებას და მასთან მიმართებაში გამოიყენება მე-6 მუხლის §§1 და 3 დ) პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები (იბ. Ferrantelli et Santangelo c. Italie, 07/08/1996, §§51, 52, კრებული 1996-III).

127. და ბოლოს ევროსასამართლო შეახსენებს, რომ მის ფუნქციებში არ შედის ფაქტებსა და მტკიცებულებებებზე საკუთარი შეფასებებით ჩაანაცვლოს შიდა სასამართლო ორგანოების მიერ შეფასებული ფაქტები და მტკიცებულებები. ეს პირველ რიგში შიდა სამართლისა და ეროვნული სასამართლო ორგანოების კომპეტენციაა (Shcenk c. Suisse, 12/07/1988, §§45-46, série A n. 140 და Garcia Ruiz c. Espagne [GC], n. 30544/96, §28, CEDH 1999-I). სამაგიეროდ, ეროვნული სამართლისა და სასამართლო ორგანოების მოვალეობაა, რომ მტკიცებულების საშუალებები წარმოდგენილი იყოს იმგვარად რომ უზრუნველყოს სამართლიანი პროცესი (იხ. გადაწყვეტილებები Edwards c. Royaume-Uni, 16/12/1992, §34, série A n.247-B და Mantovanelli c. France, 18/03/1997, §34, კრებული 1997-II).

2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

128. ევროსასამართლო შენიშნავს, რომ მოცემულ საქმეში, მოსარჩელეების დასჯა ნაწილობრივ ეყრდნობა დახურულ კარს მიღმა მესამე მოსარჩელეს, თანაბრალდებულ ბ-ნ ბაიოს მიერ მიცემულ ჩვენებებს, ასევე იმ მტკიცებულებებსა და დეტალებს, რომლებსაც მოსარჩელეების აზრით არანაირი დირებულება არ ექნებოდა რომ არ ყოფილიყო მესამე მოსარჩელეს ჩვენებები, რომლებიც შემდგომში პროცესზე თავადვე უარყო, მარამ მაინც იქნა ისინი გამოყენებული მათ წინააღმდეგ მიმართული ბრალდებების საფუძვლად, რომლებიც საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლებმა უფრო სანდოდ მიიჩნიეს ვიდრე მის მიერ მიცემული ჩვენება პროცესზე.

129. ევროსასამართლო შეახსენებს რომ არც თუ ისე იშვიათად, მას უხდება მოიძიოს სთავაზობს თუ არა, შიდა სასამართლო ორგანოების მიერ წარმოებული პროცედურები საკმარის გარანტიებს დაცვასთან მიმართებაში სირთულეების დასაძლევად გამოძიების მიმდინარეობისას ; ან ამის გარდა, საჭიროა თუ არა, რომ სასამართლო ხელისუფლების წინაშე მიმდინარე პროცედურამ გამოასწოროს დაბრკოლებები, რომლებსაც საქმე წააწყდა წინა ეტაპებზე (იხ. ზემოხსენებული Doorson c. Pays-Bas, §72).

130. ამ თვალსაზრისით, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს, სასამართლო ხელისუფლებისათვის, ზოგიერთ გარემოებაში გამოიყენოს გამოძიების მოსამზადებელ პერიოდში მიცემულ ჩვენებები, იმ პირობით რომ იგი გამყარებული უნდა იყოს სხვა მტკიცებულებებით. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში, უმჯობესი იყო, რომ სხვა მხარეებსაც მოესმინათ პირადად მესამე მოსარჩელესათვის და დაპირისპირებოდნენ მისი აღიარებებისას და გამოძიების მიმდინარეობისას, დახურულ კარს მიღმა, ჩვენებების მიცემის დროს, მაგრამ ეს მოსაზრება ვერ მოახდენს სისხლის სამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის პარალიზებას დანარჩენ შემთხვევაში და ამის გაკონტროლება ევროსასამართლოს არ შეუძლია (იხ. გადაწყვეტილება Asch c. Autriche, 26/04/1991, §28, série A n.203). უზენაესი სასამართლოს მსაგასად, ევროსასამართლო ადგენს, რომ სხვა მოსარჩელეებს არანაირი ახალი ჩვენების მიცემა არ უთხოვიათ მესამე მოსარჩელესათვის არც გამოძიების საიდუმლო ფაზის და არც საერთოდ, გამოძიების დასრულების შემდეგ. იგი მიუთითებს რომ როგორც განმარტავს საკონსტიტუციო სასამართლო თავის განჩინებაში, პირველ ხანებში, მესამე მოსარჩელემ უარყო თავისი და სხვა მოსარჩელეების მონაწილეობა ფაქტებში, შემდეგ კი, როგორც კი გამოძიებას საიდუმლოს გრიფი მოქსნა, პრალი დასდო მათ დახურულ კარს მიღმა მიცემული ჩვენებებით სხვა მოსარჩელეთა

ადგოკატების თანდასწრებით. მოსამართლემ, სხვათა შორის, მოსარჩელებსა და მათ ადგოკატებს შესაძლებლობა მისცა დაპირისპირებოდნენ მესამე მოსარჩელეს და უკუკეთებობით მისი განცხადებები, რის გაკეთებაზეც მათ უარი განაცხადეს.

131. მოცემული საქმიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს რომ პირდაპირი და მოსმენილის თაობაზე გაკეთებული ჩვენებები (რომელიც ეკუთვნოდა დაცულ მოწმეს 2345 და მოწმე ლ.ს.-ს) მიღებულ იქნა მესამე მოსარჩელეს მიერ 1997 წლის აგვისტოში, სადაცო საბრალდებო ჩვენებების მიცემამდე კარგა ხნით ადრე, რაც საკმარისი აღმოჩნდა მოსამართლესათვის, რათა 1996 წლის 20 აგვისტოს გამოეტანა გადაწყვეტილება მეორე და მესამე მოსარჩელებისათვის ბრალის წაყენებაზე და დროებით პატიმრობაზე უკანონოდ დაპატიმრების, წამებისა და მკვლელობისათვის. მიღებულ გადაყვეტილებაზე ეს უკანასკნელნი ინფორმირებულნი არ ყოფილან. ამ ბრალის წაყენებაზე გადაწყვეტილების დროებითი ხასიათის მიუხედავად, სისხლის სამართლის პროცედურის კონტექსტში, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ისე, რომ მოსამართლეს მხედველობაში არ მიუღია დახურულ კარს მიღმა, მესამე მოსარჩელეს მიერ მიცემული სადაცო ჩვენებები, რომლებსაც თითქოს და, მოსარჩელების თქმით, ეფუძნება ყველა ბრალისმომცველი ყველა სხვა მტკიცებულება და დეტალი.

132. რაც შეეხება პროცედურის საფუძვლიანობას, ევროსასამართლო შენიშნავს რომ Audiencia National-მა მოსარჩელები დამნაშავებად ცნო გამოძიებისა და პროცესის დროს წარდგენილი თანმხვედრი მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე (იხ. ზემოთ §55-§60), ასევე, ერთეულთი ეჭვმიტანილის მიერ პროცესამდე გაკეთებული განცხადებების საფუძველზე, როგორც დახურულ კარს მიღმა გამოძიების დროს, ისე პროცესზე. კერძოდ, საუბარია მესამე მოსარჩელეზე. თუმცადა, ეს განცხადებები მტკიცებულების ერთადერთი ელემენტი არ ყოფილა, რომლებსც დაეყრდნენ საქმის არსებითად განხსმილველი მოსამართლები მოსარჩელებისათვის სასჯელის გამოტანისას. ამას, რეალურად, ემატება 1997 წლის 18 სექტემბრის (იხ. ზემოთ § 28, 1997 წლის 24 ოქტომბრის (იხ. §29), 1997 წლის 29 ოქტომბრის (იხ. §30), 1997 წლის 18 ნოემბრის (იხ. §33) და 1998 წლის 12 მარტის (იხ. §34) ჩვენებები და შეპირისპირებები, ისევე როგორც მესამე მოსარჩელეს მიერ 1998 წლის 31 მარტს მიცემული წინასწარი ჩვენებები (იხ. §38), სხვა მოსარჩელეების ჩვენებები, მესამე მოსარჩელეს მიერ გადაცემული ხმოვანი ჩანაწერი, რომელიც მოიცავს საპატიმროში ხ.ტ.-სა და პირველ მოსარჩელეს საუბრის ჩანაწერს, მრავალი სხვა ჩვენება (აქედან, იმ ქალაქის პოლიციელებისა და სამოქალაქო გვარდიის აგენტები, სადაც გვამები იქნა აღმოჩნილი, სამოქალაქო გვარდიის აგენტები, დაცული მოწმეები და მოწმეები, რომლებმაც განაცხადეს ის რაც თავად მოისმინეს), ასევე ისე განცხადებები და დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო დეტალების თვალსაზრისით და გაამჟარა მტკიცებულებები, აგრეთვე ის ექსპერტიზები რომლებმაც მოახდინეს გვამების იდენტიფიკაცია და კიდევ La Cumbre-ს სასახლის ინსპექციის თქმი.

133. ამას გარდა, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ მესამე მოსარჩელეს მიერ, გამოძიების მსვლელობისას, დახურულ კარს მიღმა მიცემული ჩვენებების დამატება ჩვენებების ოქმზე, შეესაბამებოდა შიდა სამართლებრივ ნორმებს. (იხ. §87). ხსენებული ჩვენებები წაკითხულ იქნა პროცესზე და მის ავტორს შეეძლო განემარტა განსხვავება მის ძველ განცხადებებსა და პროცესზე მიცემულ ახალ ჩვენებას შორის. ევროსასამართლო ადგენს რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, მესამე მოსარჩელეს მიერ ჩვენების უარყოფა სხვა არაფერი იყო თუ არა მცდელობა

გათავისუფლებულიყო სისხლის სამართლის პასუხისმებლობისაგან და დაეცვა მეორე მოსარჩელე, ისევე როგორც თავისი ზემდგომი პასუხისმგებელი პირები. ევროსასამართლო ასევე ადგენს, რომ მესამე მოსარჩელე დაიკითხა საქმის ზეპირი განხილვის დროს დაპირისპირების პრინციპის დაცვით, პასუხი გასცა მისი და სხვა ადვოკატების მიერ დასმულ კითხვებს, მაგრამ უარი განაცხადა პროკურორისა და ბრალდების სხვა მხარეების კითხვებზე პასუხის გაცემაზე (იხ. §51). ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, მესამე მოსარჩელეს ამგვარი ქმედება წარმოადგენს მოსარჩელეებისათვის უდანაშაულობის პრეზუმუციის მოსახსნელად ღირებულ მტკიცებულებას და ადგენს რომ მოსარჩელეებს გააჩნდათ ადეკვატური და საკმარისი შესაძლებლობა სასარგებლოდ გამოყენებინათ დაცვის უფლებები (იხ. ზემოხსენებული გადაჭვილებები Saidi c. France და Kostovski c. Pays-Bas).

134. ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა იურისდიქციული ორგანოების ფუნქციაა შეაფასოს მესამე მოსარჩევეს ჩვენებების სანდოობა და განსაზღვროს შერისძიებით იყო გამსჭვალული, დაუსჯელობის სურვილით თუ სხვა მსგავსი მოტივით. ამასთანავე, იგი ადგენს რომ უზენაესმა სასამართლომ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე წარმოადგინა თავისი მოტივი და მსჯელობა და დააზუსტა, რომ მსედველობაში მიიღო მესამე მოსარჩევეს ავადმყოფობა, თუმცა უარყო მის ფსიქიკურ დარღვევებსა და 1997 წლის აგვისტოს მიცემულ ჩვენებებს შორის რაიმე კავშირი, და რომ ეს ჩვენებები გამყარებული იყო სხვა დეტალებით და სამედიცინო ექსპერტის მიხედვით სრულიად გამორიცხა ფანტაზიორობის შესაძლებლობა მისი მხრიდან. უზენაესმა სასამართლომ სხვათაშორის უცვლელად დატოვა საკასაციოს მიერ დადგენილი სასჯელები, ზოგიერთი სასჯელი დამძიმა კიდევ იმ ბრალდებებიდან გამომდინარე, რომელიც წაუქნა Audiciencia Nacional—ა.

135. ევროსასამართლო, ასევე, შენიშნავს რომ რაც შეეხება დანაშაულს არაკანონიერი დაპატიმრებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალი, რომ განცხადება დამნაშავეობაზე არ ეყრდნობოდა ქსეპლუზზიურად მესამე მოსარჩევეს მიერ მთავარ სააგმოძიებო მოსამართლისთვის მიცემულ ჩვენებას დახურულ კარს მიღმა, არამედ, ეს ჩვენებები გამომდინარეობდა ამავე მოსარჩევეს მიერ გაგეთებული საბრალდებო ჩვენებებიდან, რომლებიც მისცა გამოძიების მიმდინარეობისას და ასევე სხვა მტკიცებულებებიდან, რომლებმაც ეს ჩვენებები გაამყარა, ასევე სხვა სადავო განცხადებებიდან, რომლებიც განხილულ იქნა საქმის ზეპირი მოსმენისას კონსტიტუციისა და კანონების ყველა მოთხოვნის დაცვით. მკვლელობისათვის მოსარჩევეთა დასჯას რაც შეეხება, ევროსასამართლო აღნიშნავს რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა თუ რომელი დადგენილი ფაქტების (მსხვერპლთა უკანონო დაპატიმრება, რომელსაც მათი სიკვდილი მოყვა) საფუძველზე დაასკვნა Audiencia Nacional—მა რომ მოსარჩევები იყვნენ მკვლელობის ავტორები და მიიჩნია რომ ასეთი მსჯელობა არ შეიძლება იყოს საღ აზრს მოკლებული ან ალოგიკური იმ მოტივით, რომ მკვლელობა არ შეიძლებოდა დადგენილიყო დაპატიმრების ფაქტიდან გამომდინარე, მითუმეტეს რომ მოსარჩევების განმარტება არ მიუციათ დაკავებულების ხვედრზე. Audiencia Nacional—ის მიერ განხილული ჩვენებები, საკონსტიტუტუციო სასამართლოს მიხედვით არ წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას, მაგრამ შევსებული იყო სხვადასხვა არსებული დეტალით რამაც შესაძლებელი გახადა მოსარჩევების დამნაშავეობის დადგენა ; მოწმეთა სანდოობამ გადასწორა მოსარჩევების მიერ, დაპირისპირების მეშვეობით მიცემულ ჩვენებებს.

136. ევროსასამართლო ადგენს, რომ შიდა სასამართლო ორგანოებმა საკმარისად დაასაბუთეს გადწყვეტილებები. მას არ ევალება ხელახლა განიხილონ მტკიცებულებები ან ჩაენაცვლოს შიდა სასამართლო ორგანოებს მტკიცებულებათა ელემენტების ხელახალი ინტერპრეტაციისათვის, რომლებსაც ისინი დაეყრდნენ სასჯელის გამოსატანად. მოცემულ საქმეში, ევროსასამართლო არ ფიქრობს რომ დაცვის უფლებები დარღვეული იყო საქმის განხილვები სასამართლო ორგანოების მიერ, როგორც ეს აღნიშნულია მოსარჩელეების საბრალდებო პუნქტებში.

137. აქედან გამომდინარე, კონვენციის დებულებები არ დარღვეულა.

ამ მოტივების საფუძველზე, ევროსასამართლო მრთხმად,

აცხადებს, რომ კონვენციის 6-ე მუხლის §§ 1, 2 და 3 არ დარღვეულა.

შედგენილია ფრანგულად, წერილობითი ფორმით გადაიცა 2010 წლის 2 ნოემბერს, რეგლამენტის 77-ე მუხლის §§ 2 და 3 მიხედვით.

სანტიაგო კესადა

ერსევ კასადევალი

სასამართლო სხდომის მდივანი

სასამართლოს თავ-რე